ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 42
(11 804)

28 – 31 მაისი, 2004 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერშია:

- თასი თბილისში დარჩა

- ქართულ კრივს გოგონა შეექინა
- ფეხბურთის ლეგენდარული მეკარეები

- როგორ იქმნებოდა ფიფა
- „პორტუ" გამარჯვებულია
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

ქირესი იწყებს და... აგებს

საქართველო – ისრაელი

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ამხანაგური მატჩები

ამხანაგური მატჩი.
თბილისი. 27 მაისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 25000 მაყურებელი
საქართველო – ისრაელი 0-1
ეროვნული ნაკრებები

საქართველო: ლომაია, მეავანაძე, ხიზანეიშვილი, კალაძე, კვარაცხელია, ასათიანი (მენთეშაშვილი, 88), ცქიტიშვილი, ალექსიძე, ა. იაშვილი, კობიაშვილი (აფციაური, 90), მუჯირი (სირაძე 65).
ისრაელი: დავიდოვიჩი, ჰაიმი, გერშონი, აფეკი (ჰოლცმანი, 68), ბადირი, ტალი, გოლანი (ნიმნი, 46), ანტები, ბენიუნი, ბენიოსეფი, გაზალი.
გოლი: 0-1 ბადირი (33)
გააფრთხილეს: გაზალი (11), გოლანი (30), ბენიოსეფი (35), კალაძე (55), გერშონი (80), ტალი (83).
მსაჯი: ო. ორეხოვი (უკრაინა).

ესეც ასე, როგორც იქნა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ნამდვილი სპარინგ-მატჩი ეღირსა. „ჯვაროსნები" მატჩს საკადრო პრობლემებით შეხვდნენ. ჩამოსული ლეგიონერებიდან თამაშში მონაწილეობა ვერ მიიღეს ხიზანიშვილმა, აშვეთიამ, აგრეთვე, ეროვნულ პირველობაზე მოთამაშე ქემოკლიძემ. ქირესი იძულებული გახდა, „თბილისიდან" კვარაცხელია და აფციაური დაემატებინა.

თავად შეხვედრა, რომელიც წვიმის ფონზე წარიმართა, ქართველთა იერიშებით დაიწყო. მე-2 წუთზე იაშვილმა და ასათიანმა კედელი გაითამაშეს. იაშვილმა მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა და წაიქცა კიდეც. ჩვენები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ. მე-6 წუთზე კალაძემ ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში, კობიაშვილმა თავით დაარტყა, მაგრამ მეკარე ადგილზე დახვდა ბურთს. ერთ წუთში აფეკმა შორიდან დაურტყა ლომაიას, რომელმაც ვერ შეიმაგრა ბურთი, თუმცა მცველებმა დროულად მოიგერიეს. მე-14 წუთზე მცველთა შეცდომით ისარგებლა ტალიმ, მაგრამ დარტყმა არაეფექტური გამოდგა. 27-ე წუთზე „ჯვაროსნებმა" მასირებული შეტევა განახორციელეს, თუმცა უშედეგოდ.

შეხვედრის 33-ე წუთზე სტუმრებმა იშვიათი კონტრიერიში განახორციელეს. ბადირმა შორიდან, მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში დაარტყა, ლომაია ბურთს ვერ მიწვდა და ანგარიშიც გაიხსნა 0-1.

იხ. მე-3 გვ.

„არა, ეგრე არ არისო" – მინისტრის მოადგილემ

გამოხმაურება

„ლელოს" პუბლიკაციებმა სასკოლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის ბედთან დაკავშირებით, ჩვენი საზოგადოებრიობის, განსაკუთრებით სპეციალისტთა, პირდაპირ ვიტყვით, შეშფოთება გამოიწვია. მიზეზი გახდა ის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშტატო განრიგში, რომლის ნუსხა საკონკურსოდ გამოცხადდა, არსად არ ფიგურირებდა არც შესაბამისი სტრუქტურა, არც თუნდაც რიგითი თანამშრომლის შტატი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო აღარ არის დაინტერესებული განათლების სისტემაში ფიზიკური აღზრდის პროცესების სამინისტროს მეშვეობით მართვით, ეს კი უპრეცედენტო შემთხვევა იქნებოდა არა მხოლოდ ჩვენი განათლების სისტემაში, არამედ, საერთოდ, მსოფლიოში, რადგან ჯერ არავის სმენია, რომ ფიზიკური აღზრდის პროცესი სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამიდან ამოეგდოს რომელიმე ქვეყანას.

„არა, ეგრე არ არისო" – ბრძანა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ამ პრობლემით შეწუხებულ სპეციალისტებთან შესახვედრად მოსულმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბატონმა მიხეილ მინდაძემ. ბრძანა და დავიჯერეთ, რა უფლება გვაქვს არ დავიჯეროთ! ბატონმა მიხეილმა ყველა დაარწმუნა, რომ სასკოლო ფიზიკურ აღზრდას არაფერი ემუქრება, პირიქით, პრიორიტეტად რჩება, გაიზრდება გაკვეთილების რაოდენობა, ოღონდ, მეცადინეობის პროცესი უნდა წარიმართოს ახალი მოთხოვნების შესატყვისად, რისთვისაც საჭიროა ნოვაციური პროგრამის შემუშავება, რაც თავად სპეციალისტების საქმეა.

მიხეილ მინდაძე

მუშაობას ამ მიმართულებით კოორდინაცია კი განათლების სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურამ უნდა გაუწიოს.

ითქვა, რომ საქართველოში დღეს შეიძლება ერთი სკოლაც არ გამოინახოს ისეთი, რომელიც სასწავლო და სანიტარიული მოთხოვნების ნორმებს დააკმაყოფილებს. მაშასადამე, დღის წესრიგში კვლავ რჩება ფიზაღზრდის გაკვეთილების სუფთა ჰაერზე, სკოლის ეზოში ჩატარების, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის გააქტიურების საკითხები.

შეკრებილებმა ისარგებლეს შემთხვევით და განათლების მაღალჩინოსანს სპორტსკოლების რაოდენობის კატასტროფულ შემცირებაზე და დაუფინანსებლობაზეც დაუსვეს შეკითხვები. პასუხები დადებითი იყო, ანუ ყველაფერს მოევლება, საქართველო არასდროს იტყვის უარს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული თაობის აღზრდაზე.

ვნახოთ, რა იქნება პრაქტიკულად. „ლელო" ბოლომდე მიადევნებს თვალყურს ამ პროცესებს.

17 მედლით შიაულიაიდან

სამბოს ქართველი ოსტატები არა მხოლოდ ჩვენ, თავისიანებს, არამედ, კარგა ხანია უცხოელებსაც ანცვიფრებენ თავიანთი მიღწევებით და ამიტომ მათი მონაწილეობა ნებისმიერი დონის საერთაშორისო ასპარეზობაში ყველთვის სასურველია, თუნდაც ტურნირის ავტორიტეტის ამაღლების თვალსაზრისით. ეს უკვე ტრადიციად იქცა. კარგია ისიც, რომ მნიშვნელოვანი ტურნირები ერთდროულად სამივე ასაკის (დიდები, ახალგაზრდები, ჭაბუკები) სამბისტების მონაწილეობით ტარდება. ასე იყო ამჟამადაც ლიტვის ქალაქ შიაულიაიში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც საქართველოს სამივე ნაკრები სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი.

17 მედალი, აქედან ოქროსი — 6, ვერცხლის — 3, ბრინჯაოსი — 8, — ასეთია ჩვენი სამბისტების ერთიანი მონაგარი ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში. პირველი ადგილები მოიპოვეს: ჭაბუკებში — „დავით ასუმბანმა (60), იოსებ კუმლაძემ (65) და ლამერ ყორყოლიანმა (87); ახალგაზრდებში — გიორგი ბაინდურაშვილმა (74) და ლევან წიკლაური (82), დიდებში — გელა ბარათაშვილმა. მეორე პრიზიორები გახდნენ: ჭაბუკებში — ლევან ქოჩიევი (56); ახალგაზრდებში — ლევან მარკოზაშვილი (68); დიდებში — მამუკა კურდღელაშვილი (62); ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ: ჭაბუკებში — ლევან ფერაძე (75) და მიხეილ თურქაძე (მძიმე); ახალგაზრდებში — იმედა გიორგაძე (100) და ნუკრი ბერაია (52), დიდებში — უშანგი კუზანაშვილი (52), არჩილ ჩოხელი (74), ნიკოლოზ ბიბილაშვილი (82) და ზვიად ჩინჩალაძე (100).

ტყებუჩავამ კი გამარჯვებით დაიწყო

27 მაისი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 1500 მაყურებელი
საქართველოს ოლიმპიური ნაკრები – ისრაელის ოლიმპიური ნაკრები 3-1

საქართველო: თოთლაძე (ბალაძე 82), ციმაკურიძე, კალაძე, ჩიკვილაძე, (ღვინიანიძე 89), ლომიძე, გოგუა (რაქვიაშვილი, 74), ჭელიძე, ალადაშვილი (გურული 46), სამხარაძე (ჯიქია, 56), ხოჯავა (ელიავა, 86), მოდებაძე (ფიფია, 63).
ისრაელი: ალმადონი, აზარია, აბურაია (იცხაკი, 54), ჰაიმოვიჩი, კაინანი, ოჰაიუნი, აბუტბული (დიზანი, 79), კოჰენი (გოლანი, 63), კოენი (ვოლკი, 46), ბირუქი (დანინი, 46), სარსერი.
გოლები: 1-0 გოგუა (2), 2-0 მოდებაძე (20 პ) 3-0 ჭელიძე (45) 3-1 სარსური (60).
გააფრთხილეს: გოგუა (8), კაინანი (8), კოჰენი (20), კალაძე (27), სარსური (35) დანინი (60), კალაძე (70), გოლანი (72).
გააძევეს: კალაძე (70)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი).

საქართველოსა და ისრაელის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს წინ უსწრებდა ამ ქვეყნების ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრა. პაიჭაძის არენაზე არც ისე ბევრი ქომაგი შეიკრიბა, თამაშის დაწყებიდან მეორევე წუთზე ქართველებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს, ჯარიმა გაათამაშეს, ბურთი კი გოგუას მიუვიდა, რომელმაც არ დააყოვნა და ანგარიშიც გახსნა. მე-17 წუთზე ისრაელებმა კარგი საგოლე პასი ვერ გამოიყენეს. 22-ე წუთზე მოდებაძის წინააღმდეგ სტუმრებმა თავიანთ საჯარიმოში ცუდად ითამაშეს. მასპინძლებმა კი პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს, რომელიც დაზარალებულმა შეასრულა და ... 2-0. მეორე გოლის შემდეგ კიდევ ბევრჯერ მიეცათ შანსი მასპინძლებს ანგარიში გაეზარდათ, მაგრამ ეს მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს. ლამაზი კომბინაციის შედეგად ბურთი გიორგი ჭელიძემ გაიტანა.

მეორე ტაიმში თითქმის არაფერი შეცვლილა, კონტრშეტევებს ერთობლივად ახორციელებდნენ ორივე გუნდის ფეხბურთელები. სახიფათოდ სტუმრებმა მე-60 წუთზე შეუტიეს, კერძოდ, კი სარსურსმა, რომელმაც საჯარიმო დარტყმით გოლი გაიტანა — 3-1. ამის შემდეგ საინტერესო არაფერი მომხდარა. შეხვედრაც ამ ანგარიშით დასრულდა.

ჩიბურდანიძე და ძაგნიძე წინ მიიწევენ

ელისტაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე რაუნდი მაია ჩიბურდანიძემ, მაია ლომინეიშვილმა და ნანა ძაგნიძემ წარმატებით დაძლიეს.

ალსანიშნავია, რომ ლომინეიშვილმა ასპარეზობას გამოთიშა ალისა გალიამოვა. კენჭისყრამ მერვედფინალში ერთმანეთს ორი ქართველი — ლომინეიშვილი და ძაგნიძე შეახვედრა, ხოლო მაია ჩიბურდანიძე — ჩეხ იანა იაჩკოვას. „ქართული მატჩის" პირველი პარტია ნანა ძაგნიძემ მოიგო. ჩიბურდანიძემ კი 30 სვლაში აიძულა მეტოქე დანებებოდა. მერვედფინალში გერმანიის სახელით აგრძელებს ასპარეზობას ქეთევან კახიანი-გერშანსკა. მან პირველი პარტია მოუგო ნატაშა ბოიკოვიჩს.

გუშინ, ძაგნიძემ მეორე პარტიაც მოუგო ლომინეიშვილს, ხოლო მაია ჩიბურდანიძემ ყაიმით დაასრულა შეხვედრა იაჩკოვასთან. ასევე სასურველ ყაიმს დასჯერდა ქეთევან კახიანი-გერშინსკაც. სამივე მათგანი შემდგომ ეტაპზე გააგრძელებს ასპარეზობას.

ხელბურთს ხელი შეაშველეს

ხელბურთში საქართველოს თასი 1991-92 წლების შემდეგ აღარ გათამაშებულა. ახლა ნავსი გატყდა. საქართველოს პირველობაში მონაწილე ხუთი გუნდი — „თბილისი", სტუ-„შევარდენი", საუ —„მამული", „ქუთაისი" და „მართვე" საქართველოს თასის გათამაშებაში ხვალიდან, 29 მაისიდან ჩაებმება. ტურნირი 2 ივნისამდე გასტანს. ფინალს სპორტის სასახლე უმასპინძლებს, დანარჩენი შეხვედრები კი სტუ-ს დარბაზში გაიმართება.

საერთოდ, ქართულ ხელბურთში მთელი რიგი ცვლილებები იგეგმება. რა თქმა უნდა, საქმის სასიკეთოდ. შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოს ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან გართულებული ურთიერთობა, რაც საჯარიმო თანხის 15 ათასი ევროს დავალიანებასთან იყო დაკავშირებული. ახლა ლაპარაკია შეღავათზე, ანუ 4 ათასი ევროს შეტანაზე, რისი გადახდის გარანტიას სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი იძლევა. ამის შემდეგ ჩვენი ხელბურთელები ისევ მოიპოვებენ სხვადასხვა დონის ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის უფლებას.

ოლიმპიური ჩირაღდანი კიევის ქუჩებში

უკრაინის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის მონაწილეთა სია. (ესტაფეტა 5 ივლისს, კიევის ქუჩებში ჩაივლის). ოლიმპიური ჩირაღდნით მორბენლები ყოველ 300 მეტრში ერთხელ შეიცვლებიან. სულ 38 კილომეტრი იქნება გასავლელი. ჩირაღდნით დისტანციის გავლის ბედნიერება, სხვებთან ერთად, წილად ხვდათ ცნობილ მოკრივეებს — ძმებ კლიჩკოებს, აგრეთვე, უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ ბლოხინს, ოლიმპიურ ჩემპიონებს სტელა ზახაროვას, ლილია პოდკოპაევას, ვეტერან კალათბურთელს ალექსანდრ ვოლკოვს და სხვებს.

ჰაკინენი „უილიამსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს

„ფორმულა 1"-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1998 და 1999 წლებში) ფინელი პილოტი მიკა ჰაკინენი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ უბრუნდება ავტოსპორტს. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად ჰაკინენმა 2001 წელს იაპონიის „გრან-პრიზე" ისასპარეზა.

ახლა ფინელი პილოტი მოლაპარაკებებს აწარმოებს გუნდ „უილიამსის" ხელმძღვანელობასთან. უკვე აგვისტოში მიკა ჰაკინენი „უილიამსის" ბოლიდის საჭეს მიუჯდება და ტესტ რბოლებში მიიღებს მონაწილეობას. ვარაუდობენ, რომ ფინელი „უილიამსში" შეცვლის ან ხუან პაბლო მონტოიას, ანდა, რალფ შუმახერს.

გია ნარიმანიძის გახსენება

სიკვდილიც კარგს ირჩევსო – იტყვიან ხალხში. კაი ყმის სახელი გია ნარიმანიძეს ჭაბუკობიდანვე დაენათლა და მთელი ცხოვრება დარჩა ასეთად – ხალასი, უშუალო, უბოროტო, ყოველგვარი სიკეთის მატარებელი, სამაგალითო.

ქართული ხელბურთი რაინდების ნაკლებობას, განსაკუთრებით იმ თაობაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მის სიმტკიცეს და წარმატებებს, რაინდების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. შემდეგ მოვიდა ახალი თაობა და წინამორბედთა ყველაზე ღირსეულ მემკვიდრედ წარმოჩინდა გია ნარიმანიძე, – ჭეშმარიტად მაღალი სულის და ზნეობის პიროვნება და სპორტსმენი. მას შესწევდა უნარი ეტვირთა ლიდერობა და ეს შეძლო კიდეც, როცა თავის მეგობრებთან ერთად სახელოვან „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში, საქართველოს ამ რჩეულმა გუნდმა სსრ კავშირის თასი დაისაკუთრა, ამასთან, არაერთგზის გამოიჩინა თავი სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და ხალხთა სპარტაკიადებში. გია ნარიმანიძე შემდეგ მოგვევლინა, როგორც ნიჭიერი მწვრთნელი. 1994-1998 წლებში ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდს და საქართველოს ჩემპიონს – სტუ – „შევარდენს" – 1996-1998 წლებში. 1994 წელს ლილეჰამერში, როცა საქართველო დამოუკიდებლად პირველად ჩაერთო ოლიმპიურ თამაშებში, იგი ჩვენი ქვეყნის ოფიციალურ დელეგაციაში შედიოდა.

გ. ნარიმანიძის ნათელ ხსოვნას სათუთად ინახავს ყველა, ვინც მას ახლოს იცნობდა. მისი ქართული ხელბურთის წინაშე დამსახურების დასაფასებლად და სახელის უკვდავსაყოფად, განზრახულია დამკვიდრდეს ხელბურთში გია ნარიმანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. გია მაისში დაიბადა და შარშან სწორედ მაისში გამოასალმა მძიმე სენმა სიცოცხლეს.

„ლელოს" რედაქცია

ნათია
ზურაბიანი
გიორგი
ჩიხლაძესთან
ერთად

მოკრივე გოგონა ბიჭებთან ჩხუბობს

„თბილავიამშენის" კრივის დარბაზმა, აქ მომუშავე ამაგდარი ადამიანის გიორგი ჩიხლაძის თავკაცობით ერთმანეთის მიყოლებით უმასპინძლა ძმები დარბაისლების, ზურაბ ფალიანის, ძმები ხორანაულების ხსოვნის ტურნირებს, ამჯერად კი, აქ საფუძველი ჩაეყარა წარსულში კრივის ცნობილი სპეციალისტისა და სპორტის მუშაკის მიხეილ ბერიევის მემორიალს. აღსანიშნავია, რომ ყველა ხსენებული ასპარეზობა პირველად ჩატარდა და ტრადიციად დამკვიდრდება..

ბერიევის ხსოვნის ტურნირის გამართვაში ენთუზისტს მხარში ამოუდგა მოკრივეთა დიდი მეგობარი და ცნობილი ლიტერატორი ედიშერ გიორგაძე. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, ოზურგეთის, ნორიოს (წინაუბნის) სპორტსმენები და ერთიც გაგრიდან ლტოლვილი მოკრივე — ნ. ნავერიანი. საინტერესოა, რომ ოზურგეთელებმა ორგანიზატორებს სიურპრიზი შესთავაზეს — საასპარეზოდ ჩამოიყვანეს... გოგონა — ნათია ზურაბიანი. იგი ჭაბუკებთან საასპარეზოდ დაუშვეს, თანაც ერთი წლით უფროსებთან. ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გამართულ ორთაბრძოლებში გამარჯვებულები არიან: გ. გოგებაშვილი, თ. ტამოევი, ა. კირაკოზოვი, ზ. კვაჭეტაძე, რ. თეთრუაშვილი, ნ. გუტოიანი, ა. ჭადაშვილი, გ. ქავთარაძე, ა. არაქელოვი, გ. იაშვილი, გ. მიქავა, ე. ოგანეზოვი (ყველა — თბილისი), ა. ქარა-

ული, გ. ხოსიაური, დ. არდოტელი, დ. არაბული, ვ. ელისაბედაშვილი (ყველა — ნორიო), მ. დარჩია, თ. პირაშვილი, ნათია ზურაბიანი (სამივე — ოზურგეთი), ნ. ნავერიანი (გაგრა). გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები. გათამაშდა სპეციალური პრიზები, რომლითაც წახალისდნენ: ზ. კვაჭეტაძე, რ. გურევი, გ. ხოსიაური, ე. ეგიზარიანი, ვ. ელისაბედაშვილი, მ. დარჩია, ო. ოგანეზოვი. მ. ბერიევის ოთხი განსხვავებული პრიზით დაჯილდოვდნენ: დ. არაბული, გ. იაშვილი, გ. მიქავა და ა. არაქელოვი (იგი ტურნირის საუკეთესო მოკრივედაც აღიარეს). გ. ჩიხლაძის მიერ დაწესებული ჯილდო გადაეცა ნათია ზურაბიანს. დაჯილდოვდა აგრეთვე ოზურგეთელთა მწვრთნელი ნ. გოგიტიძე. თავის მხრივ ნ. გოგიტიძემ აღნიშნა, რომ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს რაიონის გამგებელი თამაზ სულაქველიძე.

ახლა კი გ. ჩიხლაძეს მოვუსმინოთ: „დიდი მადლობა თბილისის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ყოფილ უფროსს ვლადიმერ კანკავას, რომელმაც დამაბრუნა კრივში და მუდამ მხარში მედგა, ატარებდა შეჯიბრებებს. მისი დამსახურებით ჩამოყალიბდა თბილისის სამი ნაკრები (მოზრდილები, ახალგაზრდები, ჭაბუკები), შექმნა მემკვიდრეობითობის სისტემა. სამივე ნაკრებმა 2001 წელს საქართველოს პირველობა მოიპოვა. მისი ინიციატივით ტარდებოდა ქ. შარტავას ხსოვნის ტურნირი. ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მიკვირს, ვლადიმერ კანკავასნაირ სპორტის უნარიან მუშაკებს ასე ადვილად როგორ ელევიან."

ც. ბაძრაძე

რვა ჩემპიონი ერთი სპორტსკოლიდან

თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი დ. ოქიტაშვილი) ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების კომპლექსური სპორტული სკოლა (დირექტორი ე. ფარჯანაძე) არა მხოლოდ დედაქალაქში, მთელს ჩვენს ქვეყანაში იქცა ქართული სპორტის საიმედო რეზერვის აღზრდის სამაგალითო კერად. ამჯერად თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით (მთავარი მსაჯი გ. ფარულავა) გათვალისწინებულ ძალოსანთა შეჯიბრებაში ისახელეს თავი სკოლის აღსაზრდელებმა. შეჯიბრება პირად-გუნდური იყო და მასში მონაწილეობდა 1986-1987 წლებში დაბადებული 40-მდე მოზარდი დედაქალაქის ხუთივე რაიონიდან. უკონკურსოდ გამოდიოდა აჭარის ნაკრები, რომელიც ძირითადად ჩაქველი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული (მწვრთნელი ბ. ბასილია).

თბილისის ჩემპიონები გახდნენ: ისან — სამგორის რაიონიდან ა. ბაზიანი (50 კგ), ლ. მჭედლიშვილი (62) და ლ. მამისაშვილი (+105), დიდუბე-ჩუღურეთიდან — ი. კირთაძე (77) და ნ. თოდუა (85), გლდანი — ნაძალადევიდან — გ. ბეჟიტაშვილი (94) და მ. წიკლაური (105), გ. წიკლაური (69). ვაკე — საბურთალოდან კ. ობოლაშვილი (56). აღსანიშნავია, რომ 8 ძალოსანი გამარჯვებულთაგან ზემოხსენებული სპორტსკოლის აღსაზრდელია და ყველას მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ფარულავა. ერთი — გ. ბეჟიტაშვილი კი მწვრთნელ ზ. ანთაძის შეგირდია.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. დიდუბე ჩუღურეთი — 89 ქულა, 2. ისან-სამგორი — 71, 3. გლდანი — ნაძალადევი-58, 4. ვაკე-საბურთალო — 26,5. მთაწმინდა კრწანისი — 13.

ლაშა გოგოხია

სურათზე ნიკო თოდუა (ატაცი – 85 კგ. აკვრა – 110 კგ) 6 თვეა ვარჯიშობს (მწვრთნელი გ. ფარულავა). წარმოშობით ჩხოროწყუდანაა. ითვლება პერსპექტიულ ძალოსნად გ. ასანიძის წონით კატეგორიაში (85 კგ-მდე).

სპარტაკიადის პროგრამით...

ისნის რაიონის მოსწავლე — ახალგაზრდობის სასახლეში, თბილისის განათლების განყოფილების ინიციატივით ჩატარდა თბილისის მოსწავლეთა 57-ე სპარტაკიადა, რომელშიც დედაქალაქის რაიონების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ.

შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. თითოეული გუნდის შემადგენლობაში ოთხი ვაჟი და 2 გოგონა თამაშობდა.

19 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ვაკე-საბურთალოს რაიონის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ დავით ზარქუა, თორნიკე სანიკიძე, რომეო ჩიტაძე, ლევან ბახტაძე, ნაზი პაიკიძე, მარიამ დანელია (მწვრთნელები — მიხეილ ქიპაშვილი და იოსებ კვირიაშვილი. სპორტსკოლის დირექტორი — ბიჭიკო მაჩაბლიშვილი). ამ გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო. მეორე ადგილის ბედი გადაწყდა შარშანდელი ჩემპიონის მთაწმინდა-კრწანისისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონების გუნდების შეხვედრაში.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გუნდმა იმარჯვა ანგარიშით 4:2 და 14 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ამ გუნდის ღირსებას იცავდნენ გიორგი მარგველაშვილი, სოფიო გურამიშვილი, დავით ჩოკოშვილი, ვლადიმერ შინჯიაშვილი, სალომე და ანა ხაყომიძეები, თამარი გახოკიძე (მწვრთნელი პაატა ვაშაკიძე, სპორტსკოლის დირექტორი გოჩა გუგეშაშვილი). მესამე ადგილზე 13 ქულით გავიდა დიდუბე-ჩუღურეთის ნაკრები: არჩილ ამირხანაშვილი, გიორგი ჭანტურიძე, გიორგი გოძიაშვილი, გიორგი ქერაშვილი, თეონა მესხი, თამარ სამნიაშვილი (მწვრთნელი დავით ხიზანიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი მიხეილ სუმბათიანი).

ოსტატი შეგირდებითაა ბედნიერი

მშობლის შეფასება

ბავშვებთან მუშაობა ადვილი არაა, მით უმეტეს, სულ პატარებთან. მასწავლებლად უნდა დაიბადო, ყველას გულთან უნდა გამონახო მისასვლელი გზა, ნიჭიერს უნდა ეკამათო, რომ გზას არ ასცდეს.

ძნელია, ძალიან ძნელია ყველა გიყვარდეს და ყველას უყვარდე. ბატონი ვახტანგ ბოჭორაძე უყვარს თავის შეგირდ ნორჩ მოჭადრაკეებს, ამიტომაც მიუხარიათ მის გაკვეთილებზე. ეს პატარები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებსა და ტურნირებში, ხშირად იმარჯვებენ, მაგრამ თუ რომელიმე სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, მასწავლებელი არასოდეს საყვედურობს. პირიქით, ამშვიდებს, რწმენას უნერგავს მომავლისათვის.

ბედნიერია მასწავლებელი, რომელსაც წინ ეგებება ბავშვების გაბრწყინებული თვალები და მშობლების კეთილი ღიმილი. ეს ასეა.

ბედნიერი ბრძანდებით თქვენ, ბატონო ვახტანგ!

ლ. ნინუა-აბუთიძე, მშობელი.

თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტული სკოლა (დირექტორი ნ. ლობჟანიძე) ტრადიციულად გადასაყვან-გამოსაშვებ გამოცდებს მაისში ატარებს და ამას „მხიარული სტარტების" პროგრამით სახალისო შინაარსს აძლევს. გამონაკლისი არც წლევანდელი ღონისძიება ყოფილა. სურათზე თქვენ ხედავთ სკოლის რჩეულ აღსაზრდელებს თავიანთ აღმზრდელებთან ერთად.

ფოტო რობერტ ბაგოიანისა

საქართველო ოლიმპიზმის მიჯნაზე

ეს ჩვენი ისტორიაა

მზადება ატლანტისათვის

ატლანტაში გამართული XXVI ოლიმპიური თამაშები საიუბილეო იყო. სრულმა ასმა წელიწადმა გაიარა პირველიდან ოცდაექვსამდე, ანუ ათენიდან ატლანტამდე. საბერძნეთმა აჩუქა კაცობრიობას ოლიმპიადები, აღორძინებულ პირველ ასპარეზობასაც ელადის მიწამ უმასპინძლა, ამიტომ სავსებით ლოგიკური იქნებოდა საიუბილეო თამაშებისთვისაც ათენს ემასპინძლა. სამწუხაროდ, უპირველესად კი ბერძნებისთვის, ასე არ მოხდა. მხოლოდ ისტორიული წარსული და დამსახურება არ აღმოჩნდა საკმარისი ათენისთვის მიენიჭებინათ უკვე ასწლოვანი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის საპატიო უფლება. კონკურენტი ქალაქები, თავიანთი ქვეყნების მთავრობების მხარდაჭერით, სრულიადაც არ აპირებდნენ კეთილი ნების გამომჟღავნებას ათენის კანდიდატურის მიმართ. პირიქით, თითოეული თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისთვის და ამით ისტორიაში გამორჩეული ადგილის დასამკვიდრებლად. ღირსეულად ატლანტა სცნეს, ჯორჯიის შტატის დედაქალაქი. ამერიკელები აღაფრთოვანა ამ უფლების მოპოვებამ და, უნდა ითქვას, იმდენი გააკეთეს საიუბილეო ოლიმპიადის ჩასატარებლად სანაქებოდ მაღალ დონეზე, რომ ამდენს ათენი, საერთოდ, საბერძნეთი, მაშინ ნამდვილად ვერ შეძლებდა. ასეთი იყო ექსპერტთა დასკვნები.

მაშინ, უკვე ყველა ამერიკელმა გაიგო, რომ მათი ქვეყნის შტატში, რომელსაც სახელად ჯორჯია ჰქვია, მისი სეხნია ქვეყანაც ისასპარეზებს ოლიმპიურ თამაშებში. საქართველოსადმი ინტერესი ნამდვილად გაიზარდა ამერიკელთა შორის და ბევრისთვის იგი აღმოჩენად იქცა. დაინტერესდნენ ყველაფრით, უპირველესად იმით თუ სად მდებარეობდა და რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა. პრესაში ქვეყნდებოდა საინტერესო წერილები საქართველოზე. სპორტში გათვითცნობიერებულებსაც კი ვერ წარმოედგინათ, რომ საქართველოს, კავკასიის ჯორჯიას, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას იმ დროისთვის, 1952 წლიდან მოყოლებული, 28 ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავდა და ოქროს 31 მედალი ჰქონდა მოპოვებული (სამწუხაროდ, ეს ციფრი უცვლელი რჩება 2004 წლის თამაშებამდე). მოკლედ, ატლანტელებმა თავიანთ ღირსებად ჩათვალეს საფუძველი ჩაყროდა ორ ჯორჯიას შორის მეგობრობას.. ასეც მოხდა. ატლანტა და თბილისი დაძმობილდნენ.

ყველასადმი, ვინც საქართველოდან ვიყავით ოლიმპიადაზე ჩასულები, ატლანტელები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ. ეს, მართლაც რომ ფეხის ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა. ჩვენს სპორტსმენებს კი, ტრიბუნებიდან მაყურებლები ისევე მხურვალედ ქომაგობდნენ, როგორც თავიანთ თანამემამულეებს.

რა თქმა უნდა, საქართველო თვით ოლიმპიადაში მონაწილე ბევრი ქვეყნისთვისაც აღმოჩენა იყო. სხვათა შორის, ჟურნალისტებისთვისაც. პრესცენტრში ისინი ყველა ინფორმაციას დიდი გულმოდგინებით აგროვებდნენ ჩვენს შესახებ და გადასცემდნენ საინფორმაციო საშუალებებს თავიანთ ქვეყნებში. ბევრისთვის მართლაც გასაოცარი იყო პატარა ქვეყნის ესოდენ შთამბეჭდავი მიღწევები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას.

Atlanta 1996

ატლანტისათვის ოლიმპიური პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 15 სახეობაში მოვიპოვეთ ლიცენზიები. ყველაზე მეტი ძიუდოში — 7 (გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, ვლადიმერ დგებუაძე, სოსო ლიპარტელიანი, გიორგი წმინდაშვილი, მევლუდ ლობჟანიძე, დავით ხახალეიშვილი); კრივში — 5 (კობა გოგოლაძე, ბესიკ ვარძელაშვილი, თენგიზ მესხაძე, აკაკი კაკაურიძე, გიორგი კანდელაკი); ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში — 4 (გელა პაპაშვილი, კობა გულიაშვილი, ტარიელ მელელაშვილი, ბაკურ გოგიტიძე); თავისუფალ ჭიდაობაში — 4 (ავთანდილ გოგოლიშვილი, ელდარ კურტანიძე, ზაზა ტყეშელაშვილი, ზაზა თურმანიძე); 2-2 მონაწილე გვყავდა აფროსნობაში (გურამ ბიგანიშვილი, ვლადიმირ გრუზდევი). მძლეოსნობაში (მაია აზარაშვილი, ელვირა ურუსოვა); ძალოსნობაში (ბიძინა მიქიაშვილი, მუხრან გოგია); წყალხტომაში (ნანა ყაზარაშვილი, გოჩა გახარია); ტყვიით სროლაში (ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე); თითო — სასტენდო სროლაში (თამაზ იმნაიშვილი); თანამედროვე ხუთჭიდში (ვახტანგ იაგორაშვილი); მშვილდოსნობაში (ხათუნა ქრივიშვილი); ტანვარჯიშში (ილია გიორგაძე); მხატვრულ ტანვარჯიშში (ეკა აბრამია); ფარიკაობაში (არჩილ ლორთქიფანიძე).

ატლანტაში გამართული თამაშები ზაფხულის რიგით მეთერთმეტე ოლიმპიადა იყო საქართველოს სპორტსმენებისთვის, მაგრამ პირველი, — როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის. ცხადია, ეს ყველას გვეამაყებოდა, მაგრამ მთავარი მაინც შედეგი იყო. გამართლდებოდა თუ არა ოპტიმისტური პროგნოზები?

სავარაუდო იყო, რომ გამართლდებოდა. დამოუკიდებლად ასპარეზობის დებიუტს ატლანტაში ჯერ კიდევ ზურგს უმაგრებდა თაობათა მემკვიდრეობითობა და ტრადიციების სტიმული. 8 ოლიმპიელი 36-დან ადრე გამართულ თამაშებშიც მონაწილეობდა. ნინო სალუქვაძეს, მაგალითად, 1988 და 1992 წლების ოლიმპიადების გამოცდილება გააჩნდა, თამაზ იმნაიშვილი 1980 და 1988 წლების, ვახტანგ იაგორაშვილი და მაია აზარაშვილი 1988 წლის, დავით ხახალეიშვილი, ხათუნა ქრივიშვილი, გურამ ბიგანიშვილი და ვლადიმირ გრუზდევი 1992 წლის თამაშებში გამოდიოდნენ.

და მაინც, ჩვენდა სამწუხაროდ, დებიუტი სულაც არ წარიმართა ჩვენთვის სასურველი სცენარით. სიხარულის ნაცვლად მივიღეთ ის მწარე გაკვეთილი, რასაც არავინ მოელოდა, თანაც თამაშები სტარტზევე. ოლიმპიადები ცნობილია, ძიუდოს ტურნირით იწყება. ყველაზე უწინ კი მათგან მძიმეწონოსნები გამოდიან ტატამზე და ოლიმპიური პირველი მედალოსნებიც სპორტის ამ სახეობაში ვლინდება. მოხდა ისე, რომ ასაწონად დავით ხახალეიშვილი შეცდომით სულ სხვაგან მიიყვანეს, ამასობაში დროც ამოიწურა, რაც ძვირად დაგვიჯდა. შეცდომის გამოსწორება პრაქტიკულად გამოირიცხა, რადგან არც ერთი მეტოქე, რომლებმაც გზიდან „თავისივე ნებით, მშვიდობიანად" ოქროს მედლის ძირითადი კონკურენტის ჩამოცილება უმალვე შეიტყვეს, არანაირ გამონაკლისსა და დათმობაზე არ დათანხმდებოდნენ ტურნირის ორგანიზატორებს. არადა, მთელი საქართველო პირველი ოლიმპიური მედლის სიხარულის განცდის მოლოდინში იყო. ატლანტაშივე შევიტყვეთ, რომ ის ღამე ეზოებში, ტელევიზორებთან გაუთევიათ ქუთათურებს. თავიანთი თანაქალაქელის წარმატების ცნობის ნაცვლად კი, შემზარავი ამბავი შეიტყვეს ატლანტიდან.

მომხდარი გაუგებრობა უმძიმესი დარტყმა იყო მთელი დელეგაციისთვის. ძალიან ძნელია იმ განცდების გადმოცემა სიტყვებით, რაც მაშინ საქართველოს დელეგაციის თითოეულმა წევრმა განიცადა...

თენგიზ გაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

დასაწყ. „ლელო" №31-39, 41



ფონდი ოფიციალურად დაფუძნდა

კახი ასათიანის საერთაშორისო, საქველმოქმედო (საფეხბურთო) ფონდმა 25 მაისიდან ოფიციალური მუშაობა დაიწყო. ფონდის დამფუძნებელთა წარდგენა სფფ-ს სააქტო დარბაზში მოხდა. პრეზენტაცია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** გახსნა: „ეს დღე კახი ასათიანის მეგობრებისა და მთელი საფეხბურთო ოჯახისთვის მნიშვნელოვანი დღეა. ფონდს არ ექნება კომერციული საქმიანობა. მისი უმთავრესი ფუნქცია ვეტერან ფეხბურთელთა დახმარება და საფეხბურთო საქმიანობაში მონაწილეობაა''. 10 ვეტერან ფეხბურთელს დახმარების სახით დაურიგდებათ ფონდის პენსიები. ფონდი დააჯილდოებს აგრეთვე ეროვნული პირველობის პერსპექტიულ ფეხბურთელს, ნახევარმცველს და საფეხბურთო თემაზე მწერალ ჟურნალისტს. ფონდის მუშაობას გაუძღვება **ვალერი ჩოლარია,** ყველა თანამშრომელი საზოგადოებრივ საწყისებზე იმუშავებს. მერაბ ჟორდანიამ ფონდის ჩამოყალიბებაში შეტანილი გარკვეული წვლილისათვის მადლობა გადაუხადა სპორტის დეპარტამენტის მესვეურებს. **ირაკლი მეძმარიაშვილის** განმარტებით, დეპარტამენტი მომავალშიც იზრუნებს ფონდის განვითარებისათვის. ფონდს 3000 ლარი გადაურიცხა საფეხბურთო კლუბმა თბილისის „დინამომ''. ფონდის პირველი ფულადი დახმარება მიიღეს ვეტერანმა ფეხბურთელებმა — ჯოჯუამ, ხოჭოლავამ, ბარქაიამ, გ. სიჭინავამ, ებრალიძემ, ელოშვილმა, მახარაძემ და თავაძემ.

ქირესი იწყებს და... აგებს

პირველი გვერდიდან

პირველ ნახევარში ჩვენები კი უტევდნენ, მაგრამ რეალური მომენტი ვერ შექმნეს და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

50-ე წუთზე კობიაშვილმა ჯარიმა ჩააწოდა. ბურთს ჰაერში პირველი ხიზანეიშვილი შეეგება, მაგრამ კარს მცირე მანძილით ააცილა. 55-ე წუთზე ცქიტიშვილმა მარცხენა ფრთაზე შენიშნა კარგ პოზიციაში მყოფი კალაძე. კახა საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ ამჯერადაც წააქციეს, თუმცა მსაჯს ამ მოქმედებაში ხისტი თამაში არ შეუნიშნავს. ისე, უნდა ითქვას, რომ ისრაელის ნაკრები საკმაოდ უხეშად თამაშობდა. მატჩი, მიუხედავად ამხანაგურისა, სულაც არ ტოვებდა ასეთ შთაბეჭდილებას. ბრძოლა მოედნის ყოველი მონაკვეთისთვის მიმდინარეობდა. 74-ე წუთზე ასათიანმა გამჭოლი პასი გააკეთა საჯარიმოში, მაგრამ იაშვილს მცველებმა დაასწრეს და კუთხურზე გადააგზავნეს ბურთი.

77-ე წუთი ალექსიძემ შემობრუნებით დაარტყა, თუმცა ნისი დავიდოვიჩმა მშვენიერი რეაქცია გამოამჟღავნა. კიპერი მთელი მატჩის განმავლობაში შეუცდომლად ირჯებოდა და ქართველთათვის გადაულახავ კედლად იქცა.

ქირესმა ცვლილებები აშკარად დააგვიანა. საბოლოოდ, მხოლოდ სამი ფეხბურთელი გამოიყვანა მინდორზე, ისიც მატჩის მიწურულს. 83-ე წუთზე სტუმრები აშკარა გოლს გადაურჩნენ. იაშვილის დარტყმული ცარიელი კარიდან მცველმა გამოიტანა.

მეორე ნახევარი ფაქტიურად ცალკარას ჰგავდა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტუმართა მეკარემ თავი გამოიდო და კარი ბოლომდე მშრალად შეინახა. 85-ე წუთზე ებრაელებმა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა განახორციელეს, ბადირი ერთი ერთზე დარჩა მეკარესთან, თუმცა ბურთი ოდნავ წინ გაიგდო და მას ლომაია დაეუფლა.

მსაჯის დამატებულ წუთებზე დავიდოვიჩმა ჯერ ცქიტიშვილის, შემდეგ კი ალექსიძის დარტყმულები მოიგერია. შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა; თუმცა უფრო სამართლიანი შედეგი, ალბათ, ფრე იქნებოდა. სამწუხაროდ, ფრანგი მწვრთნელის პირველი სანაკრებო მატჩი წარუმატებელი გამოდგა, რაც თავად ქირესმაც აღნიშნა პრესკონფერენციაზე, თუმცა იგი გუნდის თამაშში პროგრესსაც ხედავს და მომავლის იმედიც დაუტოვა გულშემატკივრებს.

გიორგი ჩუბინიძე

ოქრო – თბილისში თუ ბოლნისში!?

დადგინდა ეროვნული პირველობის საუკეთესო კლუბის გამოსავლენი მატჩის საბოლოო თარიღი. თბილისი. 30 მაისი. ეროვნული სტადიონი. თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და ბოლნისის „სიონი“ ჩემპიონის ტიტულისთვის და ოქროს მედლებისთვის, ერთმანეთს, 17 საათზე შეერკინებიან. სწორედ ეს ერთადერთი, იმედია, უშეღავათო, პაექრობა „ფეირ – ფლეის“ – „პატიოსანი თამაშის“ პრინციპების დაცვით ჩაივლის და თვის ბოლოს, საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება. გასარკვევი ისაა, ჩემპიონის თასი და მედლები დედაქალაქში დარჩება თუ ბოლნისში გაემგზავრება.

ზღვისპირული „დინამო'' იცვლება

წლეულს, ფაქტობრივად, ჩაგდებულმა საფეხბურთო სეზონმა ბათუმის „დინამოში'' კარდინალური ცვლილებები გამოიწვია. კლუბის დამფუძნებელთა კრებამ ორიოდე დღის წინ, გუნდის ახალი პრეზიდენტი აირჩია — ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი **რევაზ ჩელებაძე.** დაინიშნა ახალი მთავარი მწვრთნელი **ამირან გოგიტიძე. ასლან ბალაძე** გუნდში გენერალური დირექტორის რანგში დარჩა. კლუბის ახალი მესვეურები საზოგადოებრიობას და გულშემატკივრებს ინვესტიციებს, გუნდის გაძლიერებას და ძველი დიდების დაბრუნებას დაპირდნენ. მათი პირველი სერიოზული გამოცდა შაბათს, 29 მაისს შედგება. ბათუმის „დინამო'' უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ მატჩში ქუთაისის „ტორპედოს'' სტადიონზე წნორის მილანს შეხვდება, რომელმაც პირველი ლიგის გათამაშებაში მესამე ადგილი დაიკავა.

აქვე გეტყვით, რომ ასეთივე რანგის გადასასვლელ მატჩში, ასევე 29 მაისს, თბილისში „ოლიმპის'' სტადიონზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „მცხეთაურიონი'' და პირველი ლიგის მეოთხეადგილოსანი „რუსთავი''. ორივე მატჩი 18 საათზე დაიწყება.

საქართველოს
პროფესიული
ფეხბურთის
ლიგა

Coca-Cola

თასი თბილისში დარჩა

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი. 26 მაისი. თბილისი. სტადიონი „ლოკომოტივი“. 25.000 მაყურებელი. დინამო (თბილისი) – ტორპედო (ქუთაისი) 2-1

დინამო: ზოიძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, კანდელაკი, ნემსაძე, კვირკველია, ანჩაბაძე (გრიგალაშვილი 89), კაშია, ახალაია, კაკალაძე (ხმალაძე 77), ს. იაშვილი (მელქაძე 59).

ტორპედო: სტურუა, ლ. ქელიძე, მახვილაძე, გამეზარდაშვილი, ს. თოდუა, კოშკაძე, ბაბუნაშვილი (მუმლაძე 84), ნერგაძე, ბოლქვაძე (ჩხეტიანი 79), მემარნიშვილი (ხუციშვილი 88), დავითაშვილი.

გოლები: 0-1 დავითაშვილი (3), 1-1 კაშია (61), 2-1 სილაგაძე (63).

გააფრთხილეს: კანდელაკი (24), ბოლქვაძე (52), სილაგაძე (64).

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. შილაკაძე.

ინსპექტორი: ა. მილჩენკო (სოხუმი)

დირექტორი: ნოდარ კაკულია (სოხუმი)

თამამად შეიძლება ითქვას, თბილისის „დინამო'' სათასო გუნდია. თანასწორ, უშეღავათო ორთაბრძოლაში თბილისელებმა ეროვნული თასი შეინარჩუნეს და სეზონი, რომლის დასკვნითი ნაწილი გუნდისთვის და მისი გულშემატკივრებისთვის იმედგაცრუების ხანა უფრო იყო, მაინც მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს. „დინამომ'' მერვედ მოიპოვა თასი, უფრო სწორად, შარშან მოპოვებული პრიზი შინ, კიდევ ერთი წლით დაიბევა. გაზაფხულის წვიმით გაჯერებული მატჩი, ფინალის საკადრისი გამოდგა. ერთმანეთის პირისპირ, მართლაც ღირსეული მეტოქეები დადგნენ და შეხვედრაც კარგი საცქერი გამოდგა. ამ საფეხბურთო მატჩმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ნამდვილად დაამშვენა. ეს შეხვედრა ისტორიაში რამდენიმე მოვლენით შევა. მაგალითად, მატჩის მთავარმა არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ სპორტულ კარიერაში მეშვიდე ფინალი იმსაჯა და მსაჯობა საბოლოოდ დაასრულა. შეხვედრის მსვლელობისას თუ მისი დასრულების შემდეგ ბლომად დარიგდა პრიზები, ბურთები და სამახსოვრო ნივთები. გამოვლინდნენ საუკეთესო ფეხბურთელები — ჩინებული გოლების ავტორები — თბილისელი კაშია და ქუთაისელი დავითაშვილი. მცხუნვარე და მხურვალე საფეხბურთო საღამო კი ფეიერვერკმაც გაალამაზა.

სანახაობრივად ლამაზი, საინტერესო და დაძაბული მატჩის მომსწრენი გავხდით ოთხშაბათს, თასის ფინალზე.

შეხვედრა ლამაზად გაიხსნა, მოთამაშეებს პატარა ბავშვები მოჰყვებოდნენ, მისალმების შემდეგ სტადიონზე პირველად აჟღერდა ჰიმნი და მატჩიც დაიწყო. შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, როდესაც სტუმრებმა დარტყმა გაათამაშეს, მართალია ბურთი მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ უხეიროდ, რითაც დავითაშვილმა ისარგებლა და ანგარიშიც გახსნა, როგორც მოსალოდნელი იყო, გოლის შემდეგ უპირატესობას დინამოელები დაეუფლნენ, თუმცა სახიფათოდ განხორციელებულმა შეტევებმა შედეგი ვერ გამოიღო. „როდესაც . პირველ ტაიმში, პირველივე წუთებზე გოლს გაგიტანენ, რთულია თამაში შემოატრიალო'' — თამაშის შემდეგ განაცხადა დათო კვირკველიამ. თამაშის შემოტრიალება, მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს, მანამდე კი იყო ბევრი მომენტი ანგარიშის გათანაბრებისა. მე-18 წუთზე ჯერ კვირკველიას შორი მანძილიდან დარტყმულს მეკარე იგერიებს, შემდეგ იაშვილმაც გააცუდა ერთიორჯერ.

მეორე ტაიმში კი ვიხილეთ სწორედ ის შემობრუნებული მატჩი, რომელსაც დინამოს გულშემატკივრები ელოდნენ. 62-ე წუთზე „ტორპედოს'' საჯარიმოში უმეთვალყუროდ დარჩენილმა შოთა კაშიამ ანგარიში გაათანაბრა. „როდესაც კაშიამ გოლი გაიტანა იმედი მომეცა, რომ კიდევ ერთ გოლს ვიხილავდი მეტოქის კარში'' — სიხარულს ვერ მალავდა ბრაზილიელი ლეგიონერი კარლოს დოროჩა. 64-ე წუთზე ანჩაბაძის კუთხურს სილაგაძემ თავი დაუხვედრა და ანგარიშიც შეიცვალა 2-1. ბოლო წუთებში კი ზოიძის კარგმა და თავგამოდებულმა თამაშმა არაერთხელ იხსნა „დინამო'' რეალური გოლისაგან. „ძალზედ მნიშვნელოვანი თამაში იყო, ძალიან გვინდოდა რომ მოგვეგო, რადგან ჩემპიონები ვერ გავხდით, ერთადერთი შანსი კი თასის აღება იყო'' — თქვა „დინამოს'' გოლკიპერმა.

მთელი შეხვედრა ითამაშა გიორგი ნემსაძემ, რომელიც ამ შეხვედრაში კაპიტანი იყო. მან ბრწყინვალედ ითამაშა: „დიდი ხანია ასეთი სიხარული აღარ განმიცდია, ძალიან ბედნიერი ვარ''. შეხვედრაც ამავე ანგარიშით დასრულდა. მსაჯის საფინალო სასტვენის ხმასთან ერთად ტრიბუნებზე ჟრიამულის ხმაც გაისმა, მუსიკის ფონად კი „დინამო, დინამო'' ჟღერდა. დანაღვლიანებულმა ტორპედოელებმა მედლების შემდეგ უხალისოდ დატოვეს მოედანი, შემდეგ კი გაბრწყინებული დინამოელები დაეუფლნენ სანუკვარ მედლებსა და ბოლოს თასს. ამ ყველაფერს ისიც ალამაზებდა, რომ ვაკის პარკში გამართული კონცერტის შემდეგ, რომელიც დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა, სხვადასხვა ფერის ფეიერვერკები გამოჩნდა ცაზე. მოკლედ, ეს ყველაფერი ძალზედ შთამბეჭდავი და სანახაობრივად ლამაზი გამოდგა.

ლადო ბურდული: „ცუდია, როცა არ თამაშობ და შეხვედრას ტრიბუნებიდან უცქერ. გოლის შემდეგ თალებს ვერ დავუჯერე „დინამომ'', თუ როგორ შემოატრიალა თამაში''.

სანდრო იაშვილი: „მართალია თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ.

გიორგი შაშიაშვილი: „ჩემპიონატი, რომ დაიწყო რვა ქულით წინ ვიყავით, შემდეგ რაც მოხდა ყველამ კარგად იცის. ამ თამაშს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მიხარია, რომ მოვიგეს და თასის მფლობელები გავხდით.

დათო გვარამაძე: „სერიოზული თამაში იყო, რომელსაც პირადად მე ევროპულ დონეზე შევაფასებდი''.

მილოცვები და ჟრიამული გახდელშიც გაგრძელდა. მაშ ასე, 2004 წლის თასის მფლობელი კვლავ „დინამოა''.

ლ. ჯანკოტაძე

საქართველოს
XV ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

პირველი ლიგა

XXX ტური

ჩიხურა — გურია 3-2
ქობულეთი — ცხინვალი 2-1
მეტალურგი — ოლიმპი 0-2
ლოკომოტივი (ს) — სამგურალი 1-3
რუსთავი — დინამო2 (თბ) 2-1
თსუ — ივერია 5-1
მილანი — ვიტ ჯორჯია (მცხ) 2-1
ამერი — ლუკა 3-0

საბოლოო დგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ქობულეთი	30	19	4	7	54-28	61
სამგურალი	30	17	7	6	39-19	58
მილანი	30	15	7	8	38-26	52
რუსთავი	30	16	3	11	46-31	51
დინამო2(თბ)	30	15	5	10	68-36	50
ჩიხურა	30	15	5	10	41-29	50
ოლიმპი	30	14	8	8	38-31	50
თსუ	30	13	8	9	59-30	47
ცხინვალი	30	13	7	10	45-25	46
გურია	30	13	6	11	38-37	45
ვიტჯორჯ(მცხ)	30	12	8	10	31-22	44
ამერი	30	12	7	11	34-24	43
ივერია	30	11	6	13	29-42	39
ლოკომოტ.(ს)	30	6	1	23	21-77	19
ლუკა	30	5	1	24	29-85	16
მეტალურგი	30	2	1	27	18-87	7

რეგიონული ლიგა

XXVI ტური

ცენტრალური

ტონთიო — მესხეთი 2-1
ყაზბეგი — მერანი 1-1
ურიონი — იბერია-აკადემია 3-0
ზარზმა — ირაო-ვაკე 0-3
ზოოვეტი — თორი 1-1

აღმოსავლეთი

იბერია — ნ. დინამო2 0-1
ჰერეთი — დინამო (სოხ) 2-2
ერთობა — თბილისი 3-3
კრწანისი — თ.ს აკადემია 1-3
ნ. დინამო — სიონი 2 (ბოლ) 4-1
ცხუმი — ლოკომოტივი 3 3-0
ნ. დინამო 3 — კახეთი 1-2

დასავლეთი

დინამო (ზ) — სტაბი 2-3
მეშახტე — რაჭა 1-1
ტორპედო 2 — დინამო (ბ) 3-0
მაღაროელი — სალხინო 5-1
დინამო 2 — იმედი 3-0
კოლხეთი 2 — სქური 1-2
სულორი — კოლხეთი (ხ) 1-0
ეგრისი — ოლიმპიკი 0-2

აღმოსავლეთი

კახეთი	23	19	2	2	61-16	59
სიონი2(ბოლ)	24	15	4	5	47-23	49
ლოკომოტ.3	24	15	4	5	47-21	49
ცხუმი	24	13	5	6	47-24	44
ნორჩ. დინ.	25	12	6	7	47-33	42
თ.ს. აკადემია	24	11	7	6	38-26	40
ნორჩ. დინ.2	24	11	3	10	35-31	36
კრწანისი	23	11	2	10	54-44	35
ავაზა	23	8	4	11	28-33	28
თბილისი	24	7	7	10	40-40	28
დინამო(სოხ)	23	7	5	11	34-42	26
ჰერეთი	24	6	8	10	21-27	26
ერთობა	25	5	4	16	17-52	19
ნორჩ.დინ3	24	3	4	17	27-69	13
იბერია	24	2	1	21	23-78	7

დასავლეთი

მაღაროელი	26	19	6	1	73-21	63
ოლიმპიკი	26	17	5	4	40-12	56
სქური	26	15	5	6	45-24	50
სტაბი	26	15	4	7	43-29	49
კოლხეთი (ხ)	26	14	3	9	33-28	45
მეშახტე	26	11	9	6	35-29	42
რაჭა	26	10	10	6	51-39	40
დინამო (ზ)	26	10	5	11	44-47	35
სალხინო	26	10	3	13	24-37	33
დინამო 2(ბთ)	26	9	5	12	26-30	32
იმედი	26	8	8	10	28-34	32
სულორი	26	9	3	14	31-34	30
ტორპედო2(ქ)	26	8	4	14	31-43	28
კოლხეთი2 (ფ)	26	5	6	15	32-45	21
ეგრისი	26	5	1	20	24-70	16
დინამო (ბ)	26	22	5	19	19-64	11

ცენტრალური

თორი	20	18	2	0	59-11	56
მერანი	20	12	4	4	33-18	40
ზოოვეტი	22	11	3	8	31-23	36
პრემა	20	11	1	8	34-24	34
მცხთ-ურიო2	21	10	4	7	40-29	34
ლიახვი	19	10	3	6	31-29	33
ყაზბეგი	20	9	6	5	29-15	33
იბერია-აკად.	19	8	3	8	31-23	27
მესხეთი	22	8	2	12	29-30	26
სამგორი	20	8	2	10	26-43	26
ტონთიო	21	6	4	11	26-30	22
ირაო-ვაკე	20	4	0	16	19-49	12
ზარზმა	21	0	0	21	6-72	0



მეკარე

— „როდესაც, თქვენ, შემდეგში, მიხვალთ სტადიონზე, დააკვირდით ძელებს შორის მიწის მონაკვეთს. იქ – მწვანე მინდორზე, აუცილებლად იქნება მოშიშვლებული ადგილი. შესაძლებელია, ის პატარა, გაზეთისხელა იყოს; ხშირად კი, მოზრდილია, თითქმის მეკარის მოედნის საზღვრამდე. ერთხელ, როცა მე და ჟოან სალდანია „მარაკანაზე“ მორიგი მატჩის დაწყებას ველოდით, მან ყურადღება მიაქცია კარებთან ამ რუხ ლაქას და ფილოსოფიურად შენიშნა: „მეკარე – ეს ღმერთისა და ბედისაგან დაწყევლილი არსებაა: იქ, სადაც ის ფეხს დაადგამს, ბალახიც არ იზრდება“.

იგორ ფესუნენკო.

„ბრაზილიური ფეხბურთი: პელემდე და პელეს შემდეგ“.

მეკარე... დიდი და საიმედო, განუმეორებლად ეფექტური და მყარი, გუნდის ბურჯი და დასაყრდენი.

მეკარე... მისი საოცრად სწრაფი რეაქციის გამო მეტოქის რამდენ ფეხბურთელს წაუვლია ქოჩორში ხელები, გამწარებულს იმით, რომ ვერ გადალახა მოწინააღმდეგის მეკარის წინააღმდეგობა და მისი ფიქრით ნაღდი გოლი ვერ გაიტანა.

მეკარე — ჩვენი მეკარე... რამდენჯერ აღფრთოვანებულვართ მისი უბადლო და უზადო საფეხბურთო ხელოვნებით... რამდენჯერ გვიტაცნია თმებში ხელები მისი მიუტევებელი შეცდომების გამო.

მეკარე... ფეხბურთელთა გუნდების №1 ფეხბურთელი რიგითი ნომრითაც და მასზე დაკისრებული უსაშველოდ დიდი პასუხისმგებლობითაც და ფუნქციითაც.

უამრავი მეკარის თამაში მინახავს უშუალოდ სტადიონის ტრიბუნებიდან თუ ტელეეკრანიდან, არაერთგზის მომისმენია რადიოთი.

ჩვენები: სერგო კოტრიკაძე, რამაზ ურუშაძე, ანზორ კავაზაშვილი, თეიმურაზ სტეფანია, დავით გოგია, ოთარ გაბელია...

ადრე ჩვენები... ახლა?!...: ლევ იაშინი, ვლადიმერ მასლაჩენკო, ბორის რაზინსკი, იონას ბაუჟა, ვიქტორ ბანიკოვი, ევგენი რუდაკოვი, ძმები ჩანოვები, ანატოლი გლუხოტკო, რინატ დასაევი, ლეონიდ შმუცი...

„ოკეანისგაღმელები“: ბენქსი, მაიერი, მაზურკევიჩი, ჟილმარი, ფელიქსი, სპრინჯეტი, ძოფი, ალბერტოზი, ვიქტორი, კოსტკა, ირიბარი...

მეკარის არაზუსტი თამაში გამოსწორებას არ ექვემდებარება: — მისი [illegible] გოლია.

სამწუხაროდ, მეკარეთა შეცდომების გამო, ჩვენ — გულშემატკივრები ყოველთვის მიმტევებელნი ვიყავით. ჩვენი მეკარეების მიმართ — მუდამ; მეტოქეებისათვის — მით უმეტეს.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ჩვენ მაყურებელს, ბევრის მნახველსა და გადამტანს, უამრავი ვარსკვლავ-მეკარეთა მნახველს (და არა მარტო მათ მნახველს) გულში წყნა არ ჩაუტოვებია. თუ დიდი შეცდომის (საფეხბურთო შეცდომის) შემდეგ მეკარე თავის თავზე გაიმარჯვებდა, საკუთარ თავს მობილიზაციას გაუკეთებდა და მაყურებელს თავის დახვეწილ ხელოვნებას კვლავ უჩვენებდა, ისიც მადლიერი რჩებოდა, უსაზღვროდ მადლიერი. ძველ „წყენადავიწყებული“.

არაერთ დიდ, საფეხბურთო შეცდომადაშვებულ, ლეგენდარულ მეკარესთან მისაუბრია (ვის არ წაუფორხილებია?!); მისაუბრია რამდენჯერმე, საათობით. სასტიკად არ მიყვარს რესპოდენტის ტკივილიან სულში ჩახედვა (ასევე ნებისმიერი თანამოსაუბრის). თუ საჭიროდ ცნობს, ამას ის თვითონ გეტყვის.

... დიდ ლევ იაშინს სამჯერ შევხვდი. პირველად — ქუთაისში 1970 წლის 11 აპრილს. ამ დღეს მისგან ვრცელი ინტერვიუ ავიღე, რომელიც გაზეთ „ქუთაისში“ დაიბეჭდა იმავე წლის 29 აპრილს და შემდეგ შევიტანე ჩემს წიგნში „რეტრო...“; მეორედ — 1980 წლის ივლისში, მოსკოვში, სასტუმრო „ნაციონალში“. მე იმხანად ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის

ლევ იაშინი

დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი (კომერციულ დარგში). 22-ე ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 5-13 ივლისს (ოლიმპიადა 19 ივლისს გაიხსნა) მე მივლინებული ვიყავი მოსკოვში, ჩვენი ზემდგომი უწყების — საბჭოთა კავშირის ნავთობქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს თათბირზე (ჩვენი ქარხანა საკავშირო დაქვემდებარების საწარმო გახლდათ). სწორედ ამ პერიოდში კეთილი და ამავე დროს მაღალი თანამდებობრივი სტატუსის ადამიანების დახმარებით მოვახერხე „ნაციონალის“ დიდ დარბაზში პრესკონფერენციაზე დასწრება. აი, მაშინ შევხვდი ლევ იაშინს.

ასე დაწვრილებით ამ ეპიზოდზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ ერთი ოპონენტი შემომედავა (როცა მის ნაწერებში აღმოჩენილ მრავალ შეცდომაზე მივუთითე), ოლიმპიადის დაწყების წინ მოსკოვში როგორ მოხვდითო. მე მას ქუთაისის სახელმწიფო არქივიდან ამოღებული იმ ბრძანების (№196. 01.07. 80 წელი) ქსეროასლი გავუგზავნე (აღნიშნული სამსახურის მიერ ოფიციალურად დამოწმებული), რომლის საფუძველზეც მე მივლინებით გახლდით მოსკოვში აღნიშნულ პერიოდში. ამის შემდეგ ოპონენტი აღარ შემომდავებია...

მესამედ იაშინი ისევ მოსკოვში ვნახე, 1988 წლის აპრილში. ამ დროს იგი ინვალიდი იყო (ერთი ფეხი ჰქონდა მოკვეთილი). მე მას სხვებთან ერთად ვესაუბრე - 10-15 წუთის განმავლობაში.

ლევ იაშინთან მეორე შეხვედრის დროს საუბარი ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოვარდა. ჩვენ ორთავენი ცოტა ნასვამები ვიყავით. საუბარი მან წამოიწყო. მე მას ნებისყოფა და ხასიათის სიმყარე და სიმტკიცე შევუქოვუთხარი, მან დიდი გმირობა გამოიჩინა, ჩილეს ფიასკოს შემდეგ რომ არ მოეშვა და მოდუნდა. პირიქით, სძლია საკუთარ თავს და კვლავ უძლიერესი მეკარის სახელი და დიდება დაიმკვიდრა. იაშინმა გაიღიმა, მადლობა გადამიხადა. მადლობის სიტყვები წარმოთქვა მაყურებელთა მისამართით, რომლებმაც არ შეიძულეს იგი, კვლავ იგრძნეს მისი ძალა, ენდნენ მას და მხარი დაუჭირეს საფეხბურთო რეაბილიტაციაში. თბილად გაიხსენა ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებიც.

... ის, ვის შესახებაც საუბარი ქვემოთ გვექნება, მთელი ცხოვრება ელოდა პატიებასა და შენდობას. იგი ისე ჩავიდა საფლავში, ამას თავისი თანამემამულეებისაგან ვერ ეღირსა. წავიდა იგი ამ ქვეყნიდან შეურაცხყოფილი და გულმოკლული, საკუთარი ხალხისაგან შერისხული, მარტოსული მოხუცი.

საუბარია მოასირ ბარბოზაზე — ბრაზილიის ნაკრების მეკარეზე, 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. დღევანდლამდე ბევრი ბრაზილიელი მიმომხილველი, ფეხბურთის ისტორიკოსი, მწვრთნელი თვლის, რომ იგი ბრაზილიური ფეხბურთის ყველა დროის ყველაზე გამორჩენილი მეკარე იყო. მიაჩნიათ, რომ იგი სჯობდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ჟილმარს, 1970 წლის „მექსიკური“ ბრაზილიის ნაკრების მეკარეს ფელიქსს. აღარაფერს ამბობენ ტაფარელზე — „ბრაზილია — 94“ ნაკრების გოლკიპერზე.

.... ბრაზილია დიდი მონდომებით ემზადებოდა 1950 წლის, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველი, მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ამ გრანდიოზული ღონისძიებისათვის რიო-დე-ჟანეიროში ვებერთელა სტადიონი ააშენეს — 200 ათასი მაყურებლისათვის. ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულისათვის საბრძოლველად 13 გუნდი ჩავიდა, ისინი სხვადასხვა პროპორციით ოთხ ჯგუფში განაწილდნენ, (I ჯგუფი — 4 გუნდი, II — 4, III — 3 და IV — 2 გუნდი). დასკვნით ეტაპზე — ჯგუფებიდან თითო გუნდი — ოთხი ნაკრები გავიდა: ბრაზილია, ურუგვაი, შვეცია, ესპანეთი. მათ ერთმანეთში ერთწრიანი ტურნირი გაითამაშეს. ბრაზილიელებმა მოუგეს შვედებს — 7-1, და ესპანელებს — 6-1. ურუგვაელებმა ფრედ ითამაშეს ესპანელებთან 2-2 და გაიმარჯვეს შვეციელებთან 3-2.

ნუგზარ მჭედლიშვილი

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

(გაგრძელება იქნება)

ფიფა — 100

ფიფას შექმნის მოკლე ისტორია

როგორ იქმნებოდა და იცვლებოდა ფეხბურთის თამაშის წესები



მე-19 საუკუნეში ფეხბურთი ინგლისის სკოლებში ყველაზე პოპულარული თამაში იყო. თუმცა, თითოეულ სკოლას თამაშის საკუთარი წესები გააჩნდა. მაგალითად: კარების ზომა, მატჩის ხანგრძლივობა და ხელის ბურთთან შეხების ნებართვა ყველგან შესაძლებელი იყო. 1945 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში ფეხბურთელთა ჯგუფი შეიკრიბა კემბრიჯის წესების დასადგენად. ამავე დროს, სხვა ასოციაციას, შეფილდში საკუთარი წესები ჰქონდა დადგენილი და ცხადი შეიქმნა, რომ ფეხბურთის განვითარებლად მთელ ქვეყანაში საჭირო იყო საერთო წესების ფორმის გამონახვა. ამგვარად, 1863 წელს ჩამოყალიბდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია (FA).

პირველი საერთაშორისო მატჩი გაიმართა 1872 წელს, შოტლანდიასა და ინგლისს შორის, გლაზგოში. ერთი წლის შემდეგ კი შეიქმნა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია, უელსისა და ირლანდიისა, შესაბამისად — 1876 და 1880 წ.წ.

მიუხედავად ამისა, ამ ოთხი ქვეყნის წინაშე კვლავ იდგა ფეხბურთის თამაშის საერთო წესის შემოღების აუცილებლობა. ამიტომაც, 1886 წელს, 2 ივნისს, ოთხმა ბრიტანულმა ასოციაციამ ლონდონის ოფისში შექმნა IFAB (ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭო), რომელმაც საკუთარ თავზე აიღო საერთო წესების შემოღება გაერთიანებულ სამეფოში...

ზოგიერთი კანონი ძალიან განსხვავდება დღევანდელისაგან. მაგალითად, მეკარეს შეეძლო მოედნის ერთ (საკუთარ) ნახევარზე ნებისმიერ ადგილას ხელით დაეჭირა ბურთი. 1889 წელს გარკვეული კამათი იყო იმის თაობაზე, თუ როდის უნდა ჩათვლილიყო ბურთი თამაშგარედ... საბჭო შეთანხმდა, როგორც დღეს, ბურთი მხოლოდ მაშინ ითვლებოდა აუტში, თუ ის მთლიანად გადაკვეთდა გვერდით ხაზს. 1890 წლიდან მატჩის მთავარი მსაჯი ალქურვილი შლაპითა და კვერთხით იდგა მოედნის შუა ცენტრალური ხაზის გარეთ. ორი შუამავალი არბიტრი კი იღებდა გადაწყვეტილებებს მოედანზე. თუ მათ შორის მოხდებოდა რაიმე უთანხმოება, მაშინ ისინი მიმართავდნენ მთავარ მსაჯს სადავო საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომში, ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, შუამავალი მსაჯები გვერდით არბიტრებად იქცნენ, ხოლო მთავარი რეფერი მოედანზე შევიდა.

რეფერის წესები დღევანდელის მსგავსი იყო ერთი საინტერესო გამონაკლისის გარდა — არაჯენტლმენურად ითვლებოდა მოთამაშის გაძევება. მთავარ მსაჯს ინციდენტის შესახებ ანგარიში უნდა გაეგზავნა ასოციაციისთვის, რომელიც გადაწყვეტდა მიეღო თუ არა ბოლოში წესის დამრღვევისგან. მოთამაშეთა სწრაფვა გამარჯვებისაკენ იმგვარ სიტუაციებს ქმნიდა, რომელთა დასჯა შეუძლებელი იყო შესაბამისი კანონის არქონის გამო. მალე ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ, წინადადება შეიტანა IFAB-ში საჯარიმო დარტყმის შემოღების შესახებ, ხოლო პენალტი ინიშნებოდა უხეში, სერიოზული დარღვევისათვის, კარის ხაზიდან 11 მეტრზე. თერთმეტმეტრიანის დარტყმის დროს მეკარეს შეეძლო წინ გამოსვლა 5 მეტრზე, ხოლო დანარჩენი მოთამაშეები ბურთის უკან უნდა მდგარიყვნენ. ასევე განსხვავდებოდა მინდვრის ნიშნებიც. მხოლოდ 1902 წელს შემოიღეს ისეთი საჯარიმო არე, როგორიც დღეს არის.

1904 წელს დაარსდა ფიფა. მან მიიღო IFAB-ის მიერ დადგენილი თამაშის წესები, ხოლო 1913 წელს ფიფამ IFAB-ს წევრის სტატუსიც მიიღო. იყო წინადადებაც, კარის ხაზზე მსაჯის საგანგებოდ დანიშვნის თაობაზე, თუმცა, ეს წინადადება შემდგომში უარყოფილ იქნა.

1891 წელს IFAB-მ მიიღო თამაშის საბოლოო 17 წესი.

1938 წელს IFAB-მ მოიწონა საფეხბურთო წესების პირველი დიდი რევიზია, რომელიც სტენლი როუზმა მოამზადა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მაშინდელმა მდივანმა, შემდგომში კი ფიფას პრეზიდენტმა (1961-1974 წ.წ.)

IFAB წლების მანძილზე მისდევდა თამაშის კანონების კონსერვატორული ევოლუციის პოლიტიკას.

როგორც 1890-იანი წლები იყო საფეხბურთო წესების ცვლილებათა დეკადა, 100 წლის შემდეგაც ასე მოხდა. წესი-11: — თამაშგარე შეიცვალა 1990 წელს, ხოლო 1995 წელს. ის კიდევ უფრო გამარტივდა. 1991 წელს IFAB-მ მიიღო ფიფას წინადადება, მოთამაშე, რომელიც საჯარიმოში ხელს შეუშლის ასპროცენტიან საგოლე სიტუაციას, წესის დარღვევით, აუცილებლად გაძევებულ იქნებოდა მინდვრიდან.

1993 წელს, IFAB-ს საბჭომ მოიწონა წინადადება, ნება დაერთოთ მწვრთნელებისათვის მატჩის მიმდინარეობისას მიეცათ მოთამაშეებისათვის ტაქტიკური რჩევების უფლება.

1990-იან წლებში მიღებულ იქნა მკაცრი დირექტივები უხეში თამაშის აღმოსაფხვრელად — განსაკუთრებით დამცველი მოთამაშის უკნიდან ვარდნა. 1998 წელს კი საბჭომ, საერთოდ, აკრძალა ამგვარი დარღვევები. ამასწინანდელ ყრილობაზე საბჭომ აღიარა ხელოვნური საფარის დანერგვაც და მასზე ოფიციალური თამაშის ნება დართო.

IFAB კვლავ ინარჩუნებს თამაშის უნივერსალური წესების მცველის პასუხისმგებლობას და არის ფიფას ოჯახის ერთ-ერთი „უხუცესი კანონმდებელი“.

მასალა მოამზადა
გიორგი ჩუბინიძე.

ბავშვთა ფეხბურთი

„ევროპის დღისადმი“ მიძღვნილმა მინიფეხბურთელთა ტურნირმა თბილისის სკოლებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია მოზარდებში. „ლელოს“ ერთ-ერთ ნომერში გაგაცანით გლდანის რაიონის წარჩინებული გუნდები. ამჯამად ამავე რაიონის მე-7-8 კლასელთა პირველობაში გამარჯვებულ 115-ე სკოლის (დირექტორი ნატალია მურადაშვილი, მასწავლებელი გულიკო ლორია) გუნდს (მარცხენა სურათზე) და 39-ე საშუალო სკოლის (დირექტორი მანანა დავითაია, მასწავლებელი მალხაზ კურდღელაშვილი) მე-5-6 კლასელ ნორჩ ფეხბურთელებს (მარჯვენა სურათზე) წარმოგიდგენთ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

თუნდაც ერთადერთი, მაგრამ ისტორიული გამარჯვების მოლოდინში

ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრებისაგან სასწაულს ნამდვილად არავინ ელის, თუმცა, ერთობ საინტერესო გუნდად ითვლება, მით უმეტეს, ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისათვის, საბერძნეთის ნაკრები ხომ საქართველოს ნაკრების მეტოქეა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

თუკი ისტორიას გადავხედავთ, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბერძნები სულ რამდენჯერმე გავიდნენ და იქ სახარბიელო ვერაფერი აჩვენეს. ასე მაგალითად, აშშ-ში, 1994 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრებმა ყველა შეხვედრა წააგო საერთო ანგარიშით 0-10. თუკი პორტუგალიაში, მწვრთნელი ოტო რეჰაგელი ერთ გამარჯვებას მაინც მოაპოვებინებს თავის გუნდს, ეს იქნება სანაკრებო დონეზე პირველი გამარჯვება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბერძნული ფეხბურთის ისტორიაში.

ამ გერმანელი სპეციალისტის მოსვლით ქვეყნის ნაკრების სათავეში,

ბერძნულ ფეხბურთში ახალი ერა დაიწყო. მან საბერძნეთის ნაკრებში მკაცრი დისციპლინა შეიტანა და პრივილეგიას არც ერთ ფეხბურთელს არ ანიჭებდა, თუგინდ ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურება ჰქონოდა... რეჰაგელის ტაქტიკამ საბერძნეთის ნაკრებს წარმატება მოუტანა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე — ამ გუნდმა თავის შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, თუმცა ასეთ შედეგს, სპეციალისტები არალოგიკურად მიიჩნევენ: საბერძნეთის ნაკრებს წარმატების მიღწევაში ხელი შეუწყვეს მეტოქეებმა. ჯგუფში ბერძენთა კონკურენტები ესპანელები და უკრაინელები იყვნენ. ფავორიტად, რა თქმა უნდა, ესპანეთის ნაკრები ითვლებოდა, მაგრამ ამ გუნდმა მეტად მნიშვნელოვანი ქულები ტყუილუბრალოდ ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო დაკარგა. შესარჩევ ეტაპზე საბერძნეთის ნაკრებისათვის ყველაზე „ნათელი წერტილი" იყო გამარჯვების მოპოვება სარაგოსაში ესპანეთის გუნდთან მინიმალური ანგარიშით 1-0. ამ მატჩის გმირი იყო ბერძენთა გოლკიპერი ანტონიოს ნიკოპოლიდისი, რომელმაც რამდენჯერმე აშკარა გოლისაგან იხსნა საკუთარი კარი.

ევროპის ჩემპიონატზე რეჰაგელს სწორედ 33 წლის ნიკოპოლიდისის იმედი ექნება, რომელიც აცხადებს, რომ პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ კარიერას საბერძნეთის ფარგლებს გარეთ გააგრძელებს — მას ეპატიჟებიან „ფულემი" და „ბოლტონი". საბერძნეთის ნაკრების მეორე მეკარეა „პანათინაიკოსის" კუთვნილი გიგანტი კონსტანტინ ჰალკიასი.

საერთოდ, დაცვის ხაზი ბერძნების ყველაზე სუსტ წერტილად ითვლებოდა და რეჰაგელმაც გადაწყვიტა, ამ რგოლის გაძლიერება: საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნავს არა მხოლოდ მცველები და ორი ცენტრალური ნახევარმცველი, არამედ, ხშირად ფორვარდებიც. რეჰაგელის სტრატეგია ასეთია: მთავარია გოლი არ გაუშვან. თავდასხმაში თამაში კი აწყობილი აქვთ ფორვარდთან ინდივიდუალურობის ხარჯზე. შესარჩევი ეტაპის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ბერძნებს საშუალოდ, თითოეულ მატჩში ორზე მეტი გოლის გატანა არ ძალუძთ.

საბერძნეთის ნაკრების დაცვის ხაზზე რეჰაგელი ცენტრალურ მცველებს — ნიკოლას დაბიზასსა და ტრაიანოს დელასს ეყრდნობა. დაბიზასი წლების განმავლობაში ინგლისური „ნიუკასლის" ძირითადი მოთამაშე იყო, თუმცა მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა ვუდგეიტი შეიძინა, ბერძენი ფეხბურთელი არცთუ ხშირად ჩანდა მოედანზე. დაბიზასი ბრწყინვალედ თამაშობს „მეორე სართულზე", — ეს არის მისი საუკეთესო თვისება. ორმეტრიანმა დელასმა ბოლო სეზონი „რომას" შემადგენლობაში გაატარა.

დაბიზასისა და დელასის შეცვლა რეჰაგელს „პანათინაიკოსის" მცველებით — სოტირიოს კირიაკოსითა და მიხალის კაპსისით შეუძლია.

დაცვის ფლანგებზე გერმანელი მწვრთნელი იყენებს გეორგიოს სეიტარიდისსა და პანაიოტის ფისასს. „აგრეთვე სტადიონოს ვენეტიდისს". საბერძნეთის ნაკრებში მცველები ერთ ხაზზე თამაშობენ და აქედან გამომდინარე, მათ ხშირად ეხმარებიან ცენტრალური ნახევარმცველები თეოდორ ზაგორაკისი და კასილიოს ცარტასი. ორივე მათგანი გამოცდილი მოთამაშეები არიან. ზაგორაკისი ადრე ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ლესტერის" ღირსებას იცავდა, ცარტასი კი ესპანურ „სევილიაში" თამაშობდა. არცთუ დიდი ხნის წინ, მათ ისევ მშობლიურ საბერძნეთის ჩემპიონატს მიაშურეს. ზაგორაკისი საბერძნეთის ნაკრების უდავო ლიდერია. ამ გუნდის შემადგენლობაში 80-ზე მეტი ოფიციალური მატჩი აქვს ჩატარებული. რაც შეეხება ცარტასს, ამ უკანასკნელს „დისპეტჩერს" უწოდებენ, კარგად ხედავს მოედანს და მალე ერკვევა რთულ სიტუაციებში, დიდებული პასებით ამარაგებს თანაგუნდელებს, ბრწყინვალედ ასრულებს სტანდარტულ მდგომარეობებსაც. ბოლო პერიოდში ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა, მაგრამ ექიმები არწმუნებენ ოტო რეჰაგელს, რომ ივნისის დასაწყისში ცარტასი მზად იქნება საბერძნეთის ნაკრებისათვის.

ამ ორი ძირითადი მოთამაშის გარდა, ნახევარდაცვაში ოტო რეჰაგელის განკარგულებაშია ანგელოს ბასინასი, გეორგიოს კარაგუნისი, ეს უკანასკნელი მილანის „ინტერის" საკუთრებაა, თუმცა, სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. და მაინც, ის სასარგებლო მოთამაშედ ითვლება, სწრაფია, ტექნიკური, ფლობს უძლიერეს დარტყმებს შორი მანძილიდან. ნაკრების წევრია ინგლისის „ბოლტონში" მოთამაშე სტილიანოს იანაკოპულოსი, რომელსაც ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე თამაშის გარდა, მეორე ფორვარდის ფუნქციის შესრულება შეუძლია. სწორედ მან გაიტანა ყველაზე საჭირო გოლი ესპანელთა კარში. მარჯვენა ფლანგზე რეჰაგელს გამწესებული ჰყავს გეორგიოს გეორგიადისი.

საბერძნეთის ნაკრებში ყველაზე სტაბილურ რგოლად თავდასხმა ითვლება, სადაც რეჰაგელის განკარგულებაშია ორი მაღალი კლასის ფორვარდი: ფემისტოკლის ნიკოლადისი და ანგელოს ხარისტეასი. არცთუ მაღალი, სწრაფი და ტექნიკური ნიკოლადისი შეუჩერებელია, ის ნებისმიერი გუნდის მცველებს თავსატეხს უჩენს. ხარისტეას კი შეუძლია, თითქმის „არაფრისგან" გოლი შექმნას. ხარისტეასი 190 სანტიმეტრი სიმაღლისაა და შესანიშნავად თამაშობს თავით. ამჟამად ბრემენის „ვერდერის" შემადგენლობაშია.

თავდასხმაში აქტიურობის გარდა, ნიკოლაიდისი და ხარისტეასი ხშირად ეხმარებიან მცველებს, ზოგჯერ მეტოქის პრესინგსაც მიმართავენ.

პორტუგალიაში შეიძლება ითამაშონ ფორვარდებმა — ზისის კოზასმა („ფორტუნა") და პაპადოპულოსმა.

და ბოლოს, რეჰაგელი, მიუხედავად იმისა, რომ მის გუნდს სპეციალისტები აუტსაიდერად მიიჩნევენ, მაინც იმედოვნებს, რომ პორტუგალიაში არ შერცხვება. იქნებ, მართლაც მოაპოვებინოს მან საბერძნეთის ნაკრებს პირველი გამარჯვება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპების ისტორიაში.

„პორტუ" ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია

ჩემპიონთა ლიგის ასეთ ფინალს არავინ მოელოდა. სპეციალისტები თითქმის თანაბრად აფასებდნენ პორტუგალიის „პორტუსა" და საფრანგეთის „მონაკოს" შანსებს. ბევრს ეგონა, რომ ძირითადი დრო გამარჯვებულს ვერ გამოავლენდა, მაგრამ...

უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა მიერ დადგმულ საზეიმო ცერემონიალს გელზენკირხენის „აუფ შალკე არენაზე" არბიტრ კიმ ნილსენის ჩემპიონთა ლიგის ფინალის სასტარტო სასტვენი მოჰყვა.

თამაში „მონაკოს" გაბედული შეტევებით დაიწყო. მალე ჟიული გავიდა „პორუტს" გოლკიპერ ვიტის ბაიასთან პირისპირ, თუმცა, ეს უკანასკნელი დროულად გამოვიდა კარიდან და განმუხტა სიტუაცია. „მონაკო" თანდათან ეუფლებოდა ინიციატივას, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ — 23-ე წუთზე დიდიე დეშამის გუნდმა მძიმე დანაკლისი განიცადა. ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო „მონაკოს" კაპიტანმა ჟიულიმ. ის პრშოთი შეცვალეს. ფრანგები ცდილობდნენ იმავე რიტმით გაეგრძელებინათ თამაში, მაგრამ შუა ტაიმში „პორტუ" გააქტიურდა, 39-ე წუთზე კი კარლოს ალბერტომ ეფექტური დარტყმით ანგარიში გახსნა...

შესვენებამდე „მონაკო" უკვე დაბნეული გამოიყურებოდა, აშკარად ეტყობოდა გუნდს ჟიულის არყოფნა.

ფრანგი გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი მეორე ნახევარში შეძლებდა გარდატეხის შეტანას, თუმცა... განახლდა თუ არა თამაში, „პორტუმ" პრესინგს მიმართა და „მონაკოს" ფეხბურთელებს მათსავე ნახევარზეც არ აძლევდნენ თავისუფლად მოქმედების საშუალებას. დეშამის გუნდმა ვერაფრით ააწყო თამაში. მე-60 წუთზე „პორტუს" მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ გოლის ავტორის კარლოს ალბერტოს ნაცვლად მოედანზე გამოიყვანა რუსი ალენიჩევი. ეს უკანასკნელი კარგად ჩაერთო თამაშში: 71-ე წუთზე დეკუსთან ერთად ბრწყინვალე კომბინაცია გაითამაშა და დეკუმ მეორედ აიღო მეტოქის კარი. ოთხ წუთში თავად ალენიჩევმაც გამოიჩინა თავი — 3-0! ეს უკვე „მონაკოს" განადგურებას ნიშნავდა. დარჩენილ დროში

დეშამის გუნდმა ერთი საპასუხო გოლიც ვერ გაიტანა და არბიტრმა კიმ ნილსენმა საზოგადოებას „პორტოს" გამარჯვება აუწყა.

გუნდების შემადგენლობა:

„მონაკო": რომა, იბარა, როდრიგესი, ჟივე (სკილარი, 72), ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, სისე (ნონდა, 64), როტენი, ჟიული (პრშო, 23), მორიენტესი.

„პორტუ": ვიტორ ბაია, პაულ ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, კოშტინია, მანიშე, კარლოს ალბერტო (ალენიჩევი, 60), მენდეში, დეკუ (პედრო ემანუელი, 85), დერლეი (მაკკარტი, 78).

* * *

„მონაკოს" მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „პორტუ" ჩვენზე უკეთ თამაშობდა. მათ ასეთი რანგის ფინალურ მატჩებში მონაწილეობის უფრო მეტი გამოცდილება აქვთ. გული დამწყდა, — ჩვენი მოთამაშეები ხომ არცთუ ცუდად თამაშობდნენ მთელი სეზონის განმავლობაში, თუმცა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერაფერი მოახერხეს".

„კალიარი" ძოლას არ უშვებს

იტალიური საფეხბურთო კლუბის „კალიარის" მფლობელმა მასიმო ჩეპლინომ განაცხადა, რომ მისი გუნდის ლიდერი ჯანფრანკო ძოლა არ გადავა ლონდონის „ჩელსიში".

„ძოლა მეტად საჭირო ფეხბურთელია", ის მომავალ სეზონშიც დაიცავს ჩვენი გუნდის ღირსებას," — ამბობს ჩეპლინო.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში რომან აბრამოვიჩი კვირაში 50 ათას ფუნტს სთავაზობდა იტალიის ნაკრების ვეტერანს ჯანფრანკო ძოლას.

შევჩენკო „მილანში" 2009 წლამდე დარჩება?



„სერია" ა-ს საუკეთესო ბომბარდირმა უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ 2009 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი საფეხბურთო კლუბ „მილანთან" და ამით საბოლოო წერტილი დაუსვა თავის გარშემო ატეხილ ჭორებს სხვა გუნდში შესაძლო გადასვლის თაობაზე. და მაინც, როგორც „გაზეტა დელო სპორტი" იტყობინება, უკრაინელთან მოლაპარაკებას აპირებს „ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი.

რუი კოშტა „ოქროს გასაღებს" ეძებს

„სკუდეტოს" მფლობელი „მილანის" ფორვარდი რუი კოშტა უკვე პორტუგალიის ნაკრებთან ერთად ემზადება ევროპის ჩემპიონატისათვის. გთავაზობთ რუი კოშტას მიერ „ფუტბოლისათვის" მიცემულ ინტერვიუს.

● ***რას გეგმავთ ევროპის ჩემპიონატზე?***

— ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენს გუნდს დიდი მხარდაჭერა ექნება მთელი პორტუგალიისაგან და კარგ შედეგს მივაღწევთ.

● ***ე.ი გამარჯვებაზე ფიქრობთ?***

— ამაზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მოგება გვწყურია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძლიერი კონკურენტები გვყავს. ყოველ შემთხვევაში, ისე უნდა ვითამაშოთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მშობლიურმა ქვეყანამ იამაყოს ეროვნული გუნდით.

● ***როგორც შევიტყვეთ, სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებთ...***

— ჩემთვის ევროპის ეს ჩემპიონატი ბოლოა. შემდეგ ასეთი რანგის ტურნირზე აღარ ვითამაშებ, რადგან იმ დროისათვის უკვე 36 წლის ვიქნები და ვთვლი, რომ ვეტერანებმა

რუი კოშტა (მარჯვნივ)

ადგილი ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეებს უნდა დაუთმონ. ასეთები კი მართლაც ბევრნი არიან პორტუგალიაში.

აქვე გეტყვით, რომ წინასწარ არ ვიცი, წავალ თუ არა პორტუგალიის ნაკრებიდან ამ ტურნირის დამთავრებისთანავე. ისე, ჩემთვის ნაკრების კარი რომ დავკეტო, „ოქროს გასაღები" მჭირდება.

● ***იტალიის სერია „ა"-ს ბოლო სეზონში 28 მატჩი ჩაატარეთ „მილანის" შემადგენლობაში. ხომ არ დაიღალეთ?***

— აბა, რა საჭიროა იმაზე საუბარი, თუ რა დრო გავატარე მოედანზე „მილანის" მაისურით. რომელ დაღლაზეა საუბარი, როცა წინ ასეთი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრია, — ეროვნულ ნაკრებში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისათვის დიდი პატივია. თუ პატრიოტი ხარ, ყველაფერი უნდა გაიღო ეროვნული ნაკრების ღირსებისათვის.

● ***და მაინც, რამდენად მაღალია პორტუგალიის ნაკრების შანსები?***

— ევროპის ჩემპიონატის ფავორიტებად, რა თქმა უნდა, თვლიან იმ გუნდებს, რომლებსაც აქვთ მდიდარი ტრადიციები, ისტორია. ჩვენ კი მერწმუნეთ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია და ამას დავამტკიცებთ კიდეც.

მოურინიო: „პორტუში" მუშაობა ნამდვილი ფანტასტიკა იყო

პორტუგალიის „პორტუს" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი სამუშაო დღე ამ გუნდთან ერთად.



„ეს ჩემი ბოლო მატჩი იყო. „პორტუს" მთავარი მწვრთნელის რანგში. ამ გუნდთან ორი წელი ვიმუშავე და ვფიქრობ მისთვის ბევრი რამ გავაკეთე. მართალია, კონტრაქტი არ მთავრდება წელს, მაგრამ მე უნდა წავიდე და ჩემი კარიერა გავაგრძელო ახალ ეტაპზე. „პორტუში" გატარებული დრო ნამდვილი ფანტასტიკა იყო და ის არასოდეს დამავიწყდება" — ამბოპს მოურინიო. მან გამოთქვა სურვილი, რომ მოღვაწეობას სიამოვნებით გააგრძელებდა ინგლისში. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბოლო პერიოდში მოურინიოს „ჩელსიში" კლაუდიო რანიერის შემცვლელად მოიაზრებდნენ.

ნბა

„დეტროიტი" დაწინაურდა

ნბა-ს ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩში „დეტროიტმა" საკუთარ მოედანზე უმასპინძლა „ინდიანას" და მეტოქე 7 ქულის სხვაობით დაამარცხა, 85:78. ამის შედეგად სერიაში ანგარიში გახდა 2-1 „დეტროიტის" სასარგებლოდ.

მელოუნი დააჯარიმეს

„ლოს ანჯელესის" ფორვარდი კარლ მელოუნი ნბა-ს სადისციპლინო კომისიამ 7500 დოლარით დააჯარიმა „მინესოტასთან" მატჩის დროს ატეხილი ჩხუბისათვის: მელოუნმა მეტოქე გუნდის მცველს დერიკ მარტინს ხელი დაარტყა... უფრო სოლიდური თანხით 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს „ინდიანას" ფორვარდი რონ ატესტი. ამ უკანასკნელმა „დეტროიტთან" ფლეი-ოფის სერიის ერთ-ერთი მატჩის დროს, ბურთის ჩაგდების შემდეგ მაყურებლებს უტაქტო ჟესტი უჩვენა.

კირილენკო „იუტასთან" კონტრაქტს გააგრძელებს

ნბა-ში მოთამაშე ერთადერთმა რუსმა ფორვარდმა ანდრეი კირილენკომ განაცხადა, რომ ზაფხულში ის გააგრძელებს კონტრაქტს თავის ამჟამინდელ კლუბთან — „იუტა ჯაზთან".

კირილენკომ ჟურნალისტებთან საუბარში კომენტარი გააკეთა „იუტას" გამოსვლასთან დაკავშირებით უკვე დასრულებულ რეგულარულ ჩემპიონატში. წინა სეზონთან შედარებით, 2003-2004 წლების ჩემპიონატში „იუტამ" 3-ით [illegible] გამარჯვება მოიპოვა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შარშან გუნდი დატოვეს კალათბურთის ლეგენდებმა მელოუნმა და სტოქტონმა,. წლევანდელი შედეგი ცუდი არ იყო. ვთვლი, რომ „იუტამ" თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა. „კმაყოფილი ვარ საკუთარი თამაშითაც. წელს მხვდა ბედნიერება მოვხვედრილიყავი ნბა-ს „ყველა ვარსკვლავთა" მატჩის მონაწილეთა სიაში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ წინა წლებთან შედარებით აშკარად მოვუმატე თამაშს", — ამბობს ანდრეი კირილენკო.

„ფლორიდადან" მენეჯერი გააძევეს

ნჰლ-ის კლუბ „ფლორიდა" ხელმძღვანელობამ გუნდიდან გააძევა გენერალური მენეჯერი რიკ დადლი. საქმე ის არის, რომ დადლის ხელმძღვანელობით, ორი წლის განმავლობაში, „ფლორიდამ" ერთხელაც ვერ შეძლო ფლეი-ოფში მოხვედრა. რიკ დადლის ადგილი მაიკ კინენმა დაიკავა. რომელსაც აქამდე ნჰლ-ის 7 გუნდისთვის უხელმძღვანელია, მათ შორის სწორედ „ფლორიდასაც", საიდანაც გასული წლის ნოემბერში გააძევეს. კინენის თავკაცობით „რეინჯერსმა" 1994 წელს სტენლის თასი მოიპოვა. „ფლორიდას" მთავარი მწვრთნელი გახდა კინენის მეგობარი ჟაკ მარტინი.

ნჰლ-ში ლოკაუტის საშიშროებაა

ჰოკეის ნაციონალური ლიგის კომისარმა გარი ბეტმენმა განაცხადა, რომ უკანასკნელ პერიოდში ლიგის ხელმძღვანელობასა და ჰოკეისტთა პროფესიულ კავშირს შორის გამართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. აქედან გამომდინარე, ნჰლ-ში კვლავ არსებობს ლოკაუტის საშიშროება მომავალი სეზონის დაწყების წინ.

„ჯერ კიდევ არის დრო პრობლემების გადასაჭრელად. ვიმედოვნებ, რომ ნჰლ-ის შემდეგი სეზონი ჩვეულებრივ, ყოველგვარი გაფიცვების გარეშე დაიწყება", — ამბობს ბეტმენი.

ტარვერი: „ჯონსთან ბრძოლისათვის რამდენიმე წელი ვემზადებოდი"

პროფესიულ კრივში მსოფლიო ჩემპიონმა ნახევრადმძიმე წონაში ანტონიო ტარვერმა, რომელმაც კვირანახევრის წინ დაამარცხა როი ჯონსი, განაცხადა, რომ მისი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა.

„მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, გავმხდარიყავი მსოფლიოში საუკეთესო მოკრივე. მას შემდეგ, რაც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, ყველამ „ჩამოწერილად" ჩამთვალა, რადგან ჩემგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ. მე მონდომებით გავაგრძელე ვარჯიში და მიზეზს არ ვაძლევდი საზოგადოებას, დაევიწყებინა ჩემი სახელი. მაინც არ სჯეროდათ, მე კი საკუთარი ძალებისა მწამდა. მომეცა შანსი და ყველას დავუმტკიცე, რომ ბევრი რამ შემიძლია. თავის გამოჩენის შანსი როი ჯონსთან ორთაბრძოლაში მივიღე და ის ხელიდან არ გამიშვია. ჯონს ვუთავაზე იდეალური დარტყმა, რამაც იგი ნოკაუტში ჩააგდო. ის დარტყმა შემთხვევითი არ ყოფილა, ამ დარტყმის მომზადებას წლები მოვანდომე", — ამბობს ტარვერი.

ვიტალი კლიჩკო: „ბავშვობაში მეზღვაურობაზე ვოცნებობდი"

უკრაინელმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მასსა და ლენოქს ლიუისს შორის ორთაბრძოლის გამართვის თითქმის აღარავის სჯერა, თუმცა, არაფერია გამორიცხული.

„ლენოქსი კრივიდან წავიდა და ჯერჯერობით დაბრუნებას არ აპირებს. კორი სანდერსი რომ დავამარცხე, ლიუისმა გასახდელში მომძებნა და გამარჯვება მომილოცა. მეც დრო ვიხელთე და კვლავ შევთავაზე მოლაპარაკება მომავალი ბრძოლის თაობაზე. მან გაიცინა და მითხრა, არ არის ეს გამორიცხული", — ამბობს ვიტალი კლიჩკო.

საინტერესოა, რომ უკრაინელ და ბრიტანელ მოკრივეებს შორის ურთიერთობა ბოლო პერიოდში ერთგვარად თბილი გახდა.

„დღეს მე და ლენოქს საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს. განმეორებითი ბრძოლის შესაძლო გამართვის თაობაზე მოლაპარაკებები იმდენად გაიწელა, რომ ამ ხნის განმავლობაში მოვასწარი კიდეც მისი ოჯახის წევრების გაცნობა. ასე, მაგალითად, ლონდონის შეხვედრაზე ის დედასთან ერთად. არცთუ დიდი ხნის წინ კი თავისი მწვრთნელი ემანუელ სტიუარტი გამაცნო, რომელიც ძალიან კარგი და გამოცდილი სპეციალისტია," — თქვა კლიჩკომ.

უკრაინელმა ჟურნალისტებს საკუთარ ცხოვრებაზეც უამბო. „ბავშვობაში მეზღვაურობაზე ვოცნებობდი. ხშირად დავდიოდი მდინარეზე, დავცურავდი ტივით. ორჯერ ჩავიძირე. ყველა ამბობდა: აი, ნახეთ, გაიზრდება ვიტალი და მეზღვაური დადგებაო. ეს წინასწარმეტყველება, მართალია არ ახდა, მაგრამ წყალი ძალიან მიყვარს. სამი წლის წინ კაიტსერფინგიც კი შევისწავლე"...

ფავორიტების გარეშე

ჩოგბურთელთა საფრანგეთის ღია პირველობას უკვე რამდენიმე ფავორიტი გამოაკლდა. ანდრე აგასის კვალს მიჰყვა ქალთა შორის შარშანდელი ჩემპიონი ბელგიელი ჟიუსტინ ენენ-არდენი, რომელმაც ვერაფერი გააწყო იტალიელ ტატიანა გარბინისთან — 5:7, 4:6.

ვაჟთა შორის მეორე ნომრად განთესილი როდიკი კი დამარცხდა ოლივიე მიუტისთან 5 პარტიაში — 6:3, 3:6, 7:6, 3:6, 2:6.

ჯერჯერობით წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას მესამე ნომრად განთესილი გილერმო კორია, კარლოს მოია, ტიმ ჰენმანი და სხვები...

ქართველი ირაკლი ლაბაძე პირველი წრის წარმატებით გავლის შემდეგ, დამარცხდა ფაბრის სანტოროსთან — 4:6, 6:3, 6:7, 6:3, 2:6.

ივანიშევიჩი ჩოგბურთიდან უიმბლდონის ტურნირის შემდეგ წავა

ცნობილი ხორვატი ჩოგბურთელი გორან ივანიშევიჩი აპირებს თავისი კარიერა უიმბლდონის პრესტიჟული ტურნირის შემდეგ დაასრულოს.

„ძნელია ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამის დროც დადგა" — ამბობს ივანიშევიჩი. ბოლო პერიოდში ხორვატი ტრავმებმა შეაწუხა და კორტებზე იშვიათად ჩანდა. უიმბლდონის ტურნირში უკანასკნელად 2001 წელს იასპარეზა. ტურნირის ორგანიზატორებმა ივანიშევიჩი „უაილდ ქართის" საშუალებით მიიპატიჟეს, რამაც ჩოგბურთელი ძალზე გაახარა. ყველასთვის მოულოდნელად, ივანიშევიჩმა მოიგო 2001 წლის ტურნირი.

„ტრავმის მიუხედავად, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ერთი გეიმი მაინც ვითამაშო ბოლოჯერ ისეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაში, როგორიც უიმბლდონია".

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



28 მაისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. იმედი. პროგრამა „ესტაფეტა" (11.05); ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი (13.15, 19.05),ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი: იტალია — ბელარუსი (14.55), გერმანია — შვეიცარია (21.10), შვეცია — პორტუგალია (23.40), ამხანაგური მატჩი: ფინეთი — შვეცია (1.40), კალათბურთი. ნბა (4.00, 5.00, 10.00); ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩეპიონატი (11.45), ჰოკეი. სტენლის თასი (14.30, 23.00), ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი (17.05), ტაილანდური კრივი (18.45), წყალბურთი. ევროლიგა. „ოთხეულთა ფინალი": „შტურმი-2002" — „იადრანი" (20.55), „ნოკაუტი" (22.30); EUROSPORT. ველოსპორტი. ტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩეპიონატი (14.00, 20.30, 23.00, 2.00), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია (17.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004 (0.00), ევროსპორტის ახალი ამბები (3.00, 4.15).

29 მაისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. იმედი. ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (02.20, პლეიოფი), **მზე.** ფეხბურთი „მზეზე" (12.00, 22.30); ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის: გერმანია-შვეიცარია (13.15), ბელარუსი — ხორვატია (21.55), იტალია — სერბია და ჩერნოგორია (23.40), ამხანაგური მატჩი: ფინეთი — შვეცია (15.00), რუსეთის თასი. ფინალი: „კრილია სოვეტოვ" — „ტერეკი" (15.40), ჩემპიონთა ლიგა. შედეგები (19.25), კალათბურთი. ნბა (4.00, 6.00, 10.00); ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (11.25), ფრენბურთი: კანადა — კორეა (13.25), წყალბურთი. ევროლიგა (19.55), ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალის მესამე მატჩი (1.15). EUROSPORT. ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. უიკ-ენდი (12.00), აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (13.30), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (15.30, 20.30, 23.00), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია (17.30), ფეხბურთი. საფრანგეთის ჩეპიონატი (0.00), ფეხბურთი. ევროგოლები. ევრო-2004 (2.00), ევროსპორტის ახალი ამბები (3.00, 4.45).

30 მაისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. იმედი. სპორტული პროგრამა „ასი" (18.00), **მზე.** ფეხბურთი „მზეზე" (12.00, 22.30); ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (11.00, 17.15, 19.00, 23.40), რუსეთის თასი. ფინალი (13.15), უკრაინის ჩემპიონატი (15.15), ამხანაგური მატჩი ესტონეთი — დანია (1.50), კალათბურთი. ნბა (4.00, 5.00, 10.00); ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (11.25), „ბილიარდის მეფეები" (17.15), ჰოკეი. სტენლის თასი (18.15), „დიდი რინგი" (21.00), ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის (23.00), ფრენბურთი. ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირი: ჩინეთი — კანადა (23.30), ტაილანდური კრივი (1.15); EUROSPORT. ფეხბურთი. პლანეტა ევრო (11.30), ველოსპორტი. ტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.30), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (14.00, 20.30, 0.00), ველოსპორტი. ჯირო დ' იტალია (19.15), ევროსპორტის ახალი ამბები (2.45), კრივი. პროფესიონალები (3.30).

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მერაბ მეტრეველს სიმამრის

დავით გულიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება 29.V. 14 საათზე, დოლიძის 27-ე კორ. III სად...

ქ. თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლა ღრმა სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს თეთი გოგოჭურს მამის გარდაცვალების გამო.

კროსვორდი №42



თარაზულად 1. საერთო ჩანაფიქრით გაერთიანებული რამდენიმე ილეთი (მაგ. ფეხბურთში, ჭადრაკში), 5. ფეხბურთში ყოფიანის თასის ფინალისტი გუნდი, 10. „ემპოლის" ფეხბურთელი, 11. გერმანიის საფეხბ. ნაკრების მწვრთნელი, 12. სპორტსმენებით განთქმული ქალაქი შიდა ქართლში, 14. საავტომობილო ფირმა, 15. „სტუ-ჯეოსელის" კალათბურთელი, 17. „ოსასუნას" ფეხბურთელი, 20. მძლეოსნობის პროგრამა, 21. უცხოური სამაგიდო თამაში, 22. ცნობილი იტალიელი სამთომოთხილამურე, 23. ფეხბურთელ კოშტას სახელი, 24. ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე ვაჟი, 25. „ლივერპულიდან" დათხოვნილი მწვრთნელი, 27. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია, 28. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, იბრაგიმ... 31. სპორტში სათამაშო საგანი, 32. ვეტერან რუმინელ ჩოგბურთელის ნასტასეს სახელი, 33. ცნობილი ქართველი სპორტსმენის პერსონაჟი ქართულ ფილმში.

შვეულად: 2. ზამთრის VI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 3. იტალიის საფეხბ. კლუბი, 4. ვეტერანი ქართველი ძიუდოისტი, 6. ძირითადი დროის გავლის შემდეგ დამატებითი ტაიმი, 7. დაბალი ხარისხის ფიგურა ჭადრაკში, 8. სპორტში თითქმის იგივეა, რაც ტრანსფერტი, 9. საქართველოს საფეხბ. კლუბი, 11. თანაბარი შედეგი სპორტში, 12. კარატეს სახეობა, 13. ოლიმპიური ჩემპიონის ჩიმიშკიანის სახელი, 16. ბრაზილიის საფეხბ. ნაკრების მეკარე, 18. ფეხბურთელი, საქართველოდან ყველაზე ტიტულოვანი ლეგიონერი, 19. რუსთავის საკალათბურთო გუნდის ძველი სახელი, 21. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, 23. ქართველი ფეხბურთელის ალექსიძის სახელი, 26. წარსულში ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 29. კორეელი ფეხბურთელი, 1998 მს. ჩემპიონატის მონაწილე, იუნგ... 30. რიტმული მოძრაობა, ნაბიჯის გადადგმა.

მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ

№41 კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 4. სტარტი, 7. ბერიშვილი, 8. ოსტატი, 9. ხტომა, 10. ვაზარი, 13. აკინი, 15. ბუბლა, 17. „მალიორკა", 22. ვიერი, 23. ნინიაშვილი, 24. „ლანსი", 25. აპელაცია,

შვეულად: 1. „სელტიკი", 2. ლიტმანენი, 3. „ვისლა", 4. სიომა, 5. აუტ, 6. ტიტე, 11. რუბაშვილი, 12. „არაუ", 14. ნბა, 16. „ომონია", 18. ლინკე, 19. „ოტავა", 20. „ამიცა", 21. კროსი.

საჭადრაკო ამოცანა

ვ. პიპა

(1968 წ.)



შამათი 2 სვლაში

№41-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლh6!
1.... e6 2. ლf4X, 1.... e5 2. მd6X,
1.... კf6 2. ლh3X,

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**